

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი



თამარ გველესიანი

ადვოკატის როლი სისხლის სამართლის პროცესში
(გამოძიების სტადიაზე)

სამაგისტრო პროგრამა - სამართალი

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი:

სამართლის დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი

სერგო ჭელიძე

თბილისი

2019

როგორც წარდგენილი სამაგისტროს ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებული,გამოდაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.

თამარ გველესიანი—————

თარიღი 27/06/2019

შინაარსი

შესავალი.....	6
თავი I. ადვოკატის ზოგადი განმარტება.....	8
1.1 ადვოკატის ფუნქცია, მისი არსი და მნიშვნელობა.....	8
1.2 ადვოკატის სამართლებრივი მდგომარეობა.....	10
1.3 იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება.....	13
თავი II. შეჯიბრებითობის პრინციპი.....	18
2.1 შეჯიბრებითობა ანგლოსაქსური სამართლებრივი სისტემის მქონე სახელმწიფოებში.....	18
2.2 შეჯიბრებითობის პრინციპი ქართულ სამართალწარმოებაში.....	18
2.3 თანასწორუფლებიანობის პრინციპი.....	27
2.4 მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის არსი ევროპული კონვენციის და ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად.....	29
თავი III ტრადიციული და საადვოკატო გამოძიება.....	31
3.1 საადვოკატო გამოძიება	31
3.2 შეზღუდული საადვოკატო გამოძიება.....	35
3.3 ტრადიციული გამოძიება.....	37
თავი IV ადვოკატი გამოძიების სტადიაზე.....	40
4.1 ადვოკატის პროცესუალური მდგომარეობა გამოძიების სტადიაზე.....	40
4.2 ადვოკატი საგამძიებო მოქმედების ჩატარებისას.....	43
4.3 დამცველის შეხვედრა თავის დაცვის ქვეშ მყოფთან.....	47
4.4 ადვოკატის კონსტიტუციური გარანტიები.....	49
4.5 წინასასამართლო სხდომა, დაცვის მხარის უფლების უზრუნველყოფის გარანტიები.....	51
4.6 კვლევა.....	53
დასკვნა.....	58
ბიბლიოგრაფია.....	60

რეზიუმე

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება ადვოკატის როლს სისხლის სამართლის პროცესში, კერძოდ, გამოძიების სტადიაზე. საქართველოს 2009 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მხარეთა თანასწორობასა და შეჯიბრებითობაზეა დაფუძნებული, რამაც განაპირობა კიდეც ადვოკატის როლის ზრდა სისხლის სამართალწარმოების პროცესში.

მიუხედავად ახალი რეგულაციებისა, კანონმდებლობასა თუ საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკაში თავს იჩენს უამრავი პრობლემა, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის რეალიზებას. სწორედ ამ პრობლემების არსებობამ განაპირობა აღნიშნული თემის შერჩევა და შესაბამისი კვლევის ჩატარება.

ნაშრომში განხილულია ადვოკატის ფუნქცია, მისი არსი, მნიშვნელობა და სამართლებრივი მდგომარეობა, იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება, თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის თავისებურებანი. განსაკუთრებული ყურადღება კი ეთმობა გამოძიების ეტაპზე ადვოკატის უფლებამოსილებას და მისი როლის განსაზღვრას. კერძოდ, შეზღუდულ საადვოკატო და ტრადიციულ გამოძიებას, ადვოკატის პროცესუალურ მდგომარეობას გამოძიების სტადიაზე და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას, ადვოკატის კონსტიტუციურ გარანტიებს.

Annotation

The Master's Thesis is dedicated to the role of a lawyer in the Criminal Procedure Code. The Criminal Procedure Code of Georgia 2009 is based on equality of arms and adversarial, which increased the role of the lawyer in criminal proceedings. Despite the new regulations there are many problems in legislation and investigative judicial practice, which challenges the principle of equality and adversariality. The existence of this problem has led to the selection of this topic and the relevant research.

The work deals with the function of the lawyer's meaning and the legal status, right to legal assistance and peculiarities of equality and adversarial principle. Particular attention is paid to the lawyer's authority and the role of the lawyer at the investigation stage. Namely restricted advocacy and traditional investigation, the procedural situation of the lawyer at the stage of investigation and in conducting investigative action, lawyer's constitutional guarantees.

შესავალი

თემის აქტუალობა. საქართველოს 2009 წელს მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მხარეთა თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპზეა დაფუძნებული. აღნიშნული პრინციპისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭებამ აქტუალური გახადა პროცესის მონაწილე მხარეების უფლებრივი მდგომარეობის წინა პლანზე წამოწევა. ადვოკატი სისხლის სამართალწარმოების უმნიშვნელოვანესი მონაწილეა, რომლის პროფესიონალიზმზე ბევრადაა დამოკიდებული სისხლის სამართლის საქმის ბედი. ეს განსაკუთრებით შეეხება წინასასამართლო ეტაპზე ჩატარებულ გამოძიებას.

მიუხედავად იმისა, რომ მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა კანონმდებლობითაა გარანტირებული, რჩება გარკვეული პრობლემები, რაც ამ პრინციპის სრულად რეალიზებას უშლის ხელს. ადვოკატის როლს სისხლის სამართალწარმოებაში არაერთი ქართველი და უცხოელი მკვლევარის ნაშრომი მიეძღვნა, თუმცა, იგი დღემდე არ კარგავს აქტუალობას. სწორედ აღნიშნული საკითხის აქტუალობამ, პრაქტიკაში დაგროვილმა პრობლემებმა განაპირობა თემის შერჩევა და შესაბამისი კვლევის ჩატარება.

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია ადვოკატის როლის და დანიშნულების შესწავლა თანამედროვე სისხლის სამართლის პროცესში, საკანონმდებლო მასალის, სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების გზით იმ პრობლემების წარმოჩენა, რაც ხელს უშლის მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზებას, ასევე ცალკეული წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება, რაც, ვფიქრობთ, ამ ხარვეზების გამოსწორებას შეუწყობს ხელს.

ამ მიზნის მისაღწევად კი შევეცადეთ გადაგვეწყვიტა შემდეგი ამოცანები: გამოგვევლინა ის ხარვეზები და ტენდენციები, რომლებიც აფერხებენ ადვოკატის უფლებების რეალიზებას და შესაბამისად, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის რეალიზებას; გამოგვეყო და გაგვეანალიზებინა

დაცვის მხარისათვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებები წინასასამართლო გამოძიების ეტაპზე.

კვლევის მეთოდი. ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა ანალიზისა და სინთეზის ლოგიკური მეთოდები, დიალექტიკური კვლევის მეთოდი, საკანონმდებლო ნორმების შედარებითი კვლევის მეთოდი, ასევე სასამართლო პრაქტიკის განზოგადება.

რაც შეეხება საინფორმაციო ბაზას, თემაზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომები, სამეცნიერო სტატიები, ინტერნეტრესურსი, ნორმატიული მასალა, ასევე სასამართლო პრაქტიკა.

სამაგისტრო ნაშრომი შედგება შესავალისა და ოთხი თავისაგან, რომელსაც ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა და მოიცავს თაბახზე ნაბეჭდ 62 გვერდს.

თავი I. ადვოკატის ზოგადი განმარტება

1.1. ადვოკატის ფუნქცია, მისი არსი და მნიშვნელობა

საზოგადოებას ჩამოყალიბების ეტაპზე სულ თან სდევდა ისეთი მავნე სოციალური მოვლენა, როგორცაა დამნაშავეობის არსი. ადამიანი ყოველთვის იყენებდა ძალიან ბევრ ხერხს, რომ აღმოეფხვრა ეს მანკიერი მოვლენა. თუმცა, მხოლოდ ამ პრობლემის აღმოფხვრა არ იყო საჭირო. აუცილებელი გახდა ბრალდებულის უფლებების დაცვა.

ყოველი ადამიანის უფლება უნდა იყოს დაცული. ამის შესახებ რუდოლფ ფონ იერინგი განმარტავს, რომ „უფლება მარტო აზრი კი არ არის, იგი ცოცხალი ძალაა. ამიტომ, მართლმსაჯულების ქალღმერთს ერთ ხელში სასწორი უჭირავს, მეორეში კი ხმალი. სასწორით იგი სწონის უფლებას, ხმლით კი ამყარებს და იცავს მას“.¹

საქართველოში სამართლებრივი რეფორმების განხორციელება დაიწყო მე-20 საუკუნის ბოლოს და 21-ე საუკუნის დასაწყისში. საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც 1995 წელს მიიღეს, არის ფუნდამენტური ღირებულების, მასში აისახა მრავალი დემოკრატიული ღირებულება.

ყველაზე მნიშვნელოვანი კონსტიტუციაში მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპია, რომელთა მეშვეობით სასამართლო პროცესი ხორციელდება თანაბარი მდგომარეობით.

სწორედ ამ პრინციპების რეალიზაციის მიზნით საქართველოს პარლამენტმა 2009 წელს მიიღო ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ეს პრინციპია: მხარეთა შეჯიბრებითობა და თანასწორობა. მხარეებს შორის უნდა გამოვეყნოთ და ცალკე თემად განვიხილოთ დაცვის მხარე.

პროფესია „ადვოკატი“ მნიშვნელოვან როლს თამაშობს იურიდიულ პროფესიებში. ის მართლმსაჯულების ოჯახის განუყოფელი რგოლია. ადვოკატი

¹ რ. იერინგი, ბრძოლა უფლებებისათვის, თბ., 2000, გვ. 21;

მარწმუნებლისათვის იურიდიული რჩევის მიმცემი პირია, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს კლიენტის იურიდიულ ბედს, იგი პასუხს აგებს ხარისხიან მართლმსაჯულებაზე.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს 2001 წლის კანონის თანახმად, ადვოკატი არის უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონს და პროფესიული ეთიკის ნორმებს, გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. რაც შეეხება საადვოკატო საქმიანობას.

იგი, ამავე კანონით, მოიცავს შემდეგს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისთვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა(კლიენტი), კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, საგამომიებო ორგანოებში. ასევე, თავის მხრივ მისი ვალდებულებაა სამართლებრივი დოკუმენტაციის მომზადება. ამავე კანონში გაწერილია ის პრინციპები, რითაც აუცილებლად უნდა იხელმძღვანელოს ადვოკატმა და სწორდ ამ პრინციპებს ეფუძნება კლიენტის ნდობა.²

ადვოკატი სისხლის სამართლის პროცესში უნდა მოქმედებდეს ცალმხრივად, ბრალდებულის ინტერესების შესაბამისად და მას არ ეკისრება ობიექტურობის ვალდებულება. სწორედ ამიტომ ადვოკატისთვის აუცილებლად ცნობილი უნდა იყოს მისი დაცვის ქვეშ მყოფის დანაშაულებრივი ქმედება.

მან მხარი უნდა დაუჭიროს არსებითი განხილვის დროს მისი დაცვის ქვეშ მყოფის გამართლებას და არა მისი სისხლისამართლებრივი პასუხისგებაში მიცემას. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატმა სასამართლოში უნდა წარადგინოს ისეთი მტკიცებულებები, რომელიც ამსუბუქებს და ამართლებს პირის პასუხისმგებლობას.

მას არ აქვს უფლება, ბრალდებულის თანხმობის გარეშე ისაუბროს ისეთ გარემოებებზე, რაც ბრალდებულს ან ამხელს დანაშაულში ან დაუმძიმებს

² საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“, მიღებულია 20.06.2001. უკანასკნელად გადამოწმებულია 01.07.2017, მუხ. 1, 2.

პასუხისმგებლობას. მას ასევე ეკრძლება წისასწარი შეცნობით სასამართლოში ყალბი მტკიცებულებების წარდგენა³.

მართალია, ადვოკატი უფლებამოსილია დამალოს სიმართლე და არ თქვას სასამართლოში, მაგრამ ის მტკიცებულებები, რომლსაც იგი წარადგენს პროცესზე, უნდა იყოს უტყუარი.

ადვოკატს ეკრძალება მაგალითად:

- მტკიცებულებების ფალსიფიკაცია და სასამართლოში წარდგენა;⁴
- ექსპერტისადმი ან თარჯიმნისადმი მიმართვა ან მათი დაყოლიება, რათა ექსპერტმა გასცეს ყალბი დასკვნა, ხოლო თარჯიმანმა კი თარგმნოს არასწორად;⁵
- მოწმისათვის ან დაზარალებულისათვის მიმართვა, რათა მათ მისცენ ცრუ ჩვენება.⁶

ადვოკატს არ ეკრძალება:

- ურჩიოს ბრალდებულს, გამოიყენოს დუმილის უფლება და არ მისცეს ჩვენება;
- ურჩიოს ბრალდებულის ოჯახის წევრს, რომ გამოიყენოს მისთვის კანონით მინიჭებული ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება და არ გამოვიდეს სასამართლოში მისი ოჯახის წევრის წინააღმდეგ მოწმედ.

1.2 ადვოკატის სამართლებრივი მდგომარეობა

ადვოკატის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ არ არსებობს ერთგვაროვანი პოზიცია. მეცნიერთა დიდი ნაწილი ადვოკატს სამართლებრივი წესრიგის დამცველად მიიჩნევს, რომელიც არა მარტო ბრალდებულის, არამედ საჯარო ინტერესების შესაბამისად მოქმედებს. ნაწილი კი უარყოფს აღნიშნულ ფაქტს და ადვოკატს სისხლის სამართლის პროცესში, როგორც ბრალდებულის ინტერესების წარმომადგენელს აღიარებს.

არსებობს სამართლებრივი დაცვის თეორია, რომლის მიხედვითაც ადვოკატი სისხლის სამართლის წარმოებისას იცავს ბრალდებულის ინტერესებს

³ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილი;

⁴სისხლის სამართლის კოდექსი, 1999, 369-ე მუხლის მე-2 ნაწილი;

⁵იქვე, 372-ე მუხლი;

⁶იქვე.

და ამავდროულად ახორციელებს კონტროლს, იმაზე თუ რამდენად სამართლიანად წარიმართება სახელმწიფოს მხრიდან სისხლის სამართლის პროცესი. სამართლებრივ სახელმწიფოში მძიმე ბრალდების საქმეზე შეუძლებელია ადვოკატის მონაწილეობის გარეშე სამართლიანი პროცესის უზრუნველყოფა.

სამართლებრივი წესრიგის დაცვის თეორიის მიმდევრები ასევე ხაზს უსვამენ ადვოკატის დამოუკიდებლობას სასამართლოსა და პროკურატურისგან. ადვოკატი არ ექვემდებარება არც სასამართლოს და არც პროკურატურის ორგანოებს. იგი ემორჩილება მხოლოდ კანონსა და ეთიკის ნორმებს.

ზემოაღნიშნულისგან განსხვავებით, მხარის ინტერესების წარმომადგენლის თეორია მიუთითებს იმაზე, რომ დაცვის უფლება ბრალდებულისათვის კანონით მინიჭებული უფლებაა, ვინაიდან ბრალდებული თავის ინტერესებს დამოუკიდებლად განსაზღვრავს, მხოლოდ მისი გადასაწყვეტია დაიცავს თუ არა იგი თავის ინტერესებს ადვოკატის დახმარებით.

იურისტი გიორგი მელაძე თავის ნაშრომში „შესავალი სისხლის სამართლის პროცესში“ მკაფიოდ საუბარს იმაზე, რომ ეს კონკრეტული თეორია, კერძოდ მხარის ინტერესების წარმომადგენლის თეორია, არ იმსახურებს მხარდაჭერას, იმის გამო, რომ ბრალდებულს არ აქვს შესაბამისი გამოცდილება სისხლისამართლებრივი დევნის აპარატთან, დაუშვებელია სამართლებრივ სახელმწიფოში დაცვის ყოლის ან არ ყოლის უფლება მხოლოდ ბრალდებულზე იყოს მინდობილი.

მართალია, ადვოკატი დამოკიდებულია ბრალდებულის მითითებებზე მაგრამ, იგი ამ მითითებებს მხოლოდ იმ ფარგლებში ასრულებს, რაც გამართლებულია ბრალდებულის დაცვის ინტერესებით. რა თქმა უნდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ადვოკატს არ აქვს უფლება, მოიქცეს მისი დაცვის ქვეშ მყოფის ინტერესების წინააღმდეგ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატის მონაწილეობა ყველა ვარიანტში მის სურვილზე არ არის დამოკიდებული. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს შემთხვევებს,

როდესაც ბრალდებულს ადვოკატი სავალდებულო წესით შეიძლება დაენიშნოს. ბრალდებულისთვის სავალდებულო წესით ადვოკატის დანიშვნა გამომდინარეობს მართლმსაჯულებისა და სამართლიანი პროცესის უზრუნველყოფის ინტერესებიდან.

სულ რომ თავად იყოს ბრალდებული ადვოკატი, მას არ აქვს უფლება, უარი თქვას ადვოკატის მომსახურებაზე, რა თქმა უნდა, თუ კი ის არის სავალდებულო დაცვის კანონით გათვალისწინებული.⁷

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 45-ე მუხლის მიხედვით არსებობს შემთხვევები, როდესაც ბრალდებულს სავალდებულო წესით უნდა დაენიშნოს ადვოკატი.

„მუხლი 45. სავალდებულო დაცვა.

სავალდებულოა ბრალდებულს ჰყავდეს ადვოკატი:

- ა) თუ არასრულწლოვანია;
- ბ) თუ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;
- გ) თუ აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რაც ხელს უშლის მის მიერ საკუთარი დაცვის განხორციელებას;
- დ) თუ გამოტანილია განჩინება (დადგენილება) სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ;
- ე) თუ ჩადენილი ქმედებისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით;

⁷გ. მელაძე „შესავალი სისხლის სამართლის პროცესში“, ხელმისაწვდომია <https://mimomxilveli.wordpress.com/category/%E1%83%B0%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%93%E1%83%9D-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%A1/%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%94/>. უკანასკნელი გადამოწმებულია 01.07.2017

- ვ) თუ მასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე;
- ზ) თუ სისხლის სამართლის საქმეს იხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო;
- თ) თუ თავს არიდებს სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას;
- ი) თუ გაამევეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან;
- კ) თუ არ არის იდენტიფიცირებული პირი;
- ლ) თუ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში“. აღნიშნულ შემთხვევაში თუ კი არსებობს სავალდებულო დაცვის კანონით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი, თავადაც რომ იყოს ბრალდებული ადვოკატი უფლება არ აქვს უარი თქვას ადვოკატის მომსახურებაზე.⁸

1.3 იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება

ამ საკითხთან დაკავშირებით შტეფან ტრექსელი თავის ნაშრომში „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“, მკაფიოდ საუბრობს და აღნიშნავს, რომ „კანონი ყველასთვის ღიაა სასტუმრო რიცივით“. თეორიას რომ გადავავლოთ თვალი წესით მოსამართლეები სრულიად მიუკერძოებლები არიან, როგორც შ. ტრექსელი აღნიშნავს, „კონინენტური სამართლის ტრადიცია მოსამართლეებს ავალდებულებს ჭეშმარიტების აქტიურ ძიებას, ხოლო გარკვეულწილად ბრალმდებელი იმაზეა მობილიზებული, თუ როგორ მოიშოროს დამნაშავე თავიდან.

როდესაც ვსაუბრობთ იურიდიულ დახმარებაზე, აუცილებლად უნდა შევხებით უსასყიდლო იურიდიული დახმარების ინსტიტუტს ანუ სახაზინო ადვოკატს. ამ შემთხვევაში სახელმწიფო იხდის დამცველის მომსახურების საფასურს. სწორედ აქ ვაწყდებით პრობლემას, რომელიც შემდეგში მდგომარეობს ანუ თუ სახელმწიფო იხდის თანხას, რომ დაიცვან ბრალდებული გამოდის, რომ ხდება სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ბრალმდებელის გეგმების ჩაშლა, რაც

⁸საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მუხ. 45, მიღებულია 09.10.2009. უკანასკნელად გადამოწმებულია 23.06.2017.

შეეხება თვითონ სახაზინო ადვოკატს, როგორც მის ანაზღაურებას, ისევე მის პროფესიონალიზმს, აქ ასევე უნდა ვისაუბროთ იმაზე, რომ სახაზინო ადვოკატს ხშირ შემთხვევებში ვერ ექნება ისეთი ანაზღაურება, როგორც კერძოდ დაქირავებულს და ხშირ შემთხვევებში შეიძლება მისი შრომა საერთოდ არ ანაზღაურდეს. ასევე შეიძლება ჩვენ ჩავთვალოთ, რომ ის ვერ იქნება წამყვანი იურისტი.

შ. ტრექსელი თავის ნაშრომში ამ პრობლემაზე საუბრობს და მოჰყავს სხვადასხვა ქვეყნის მაგალითი. არსებობს განსხვავება ინგლისურ და ფრანგულ ვერსიებს შორის. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 „გ“ ქვეპუნქტისა და საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის ინგლისური ვერსიები მიუთითებენ „იურიდიულ დახმარებაზე, ხოლო ფრანგულ ტექსტში საუბარია „დანაშნულ ადვოკატზე“ და „დამცველზე“.

ეს ნათქვამი შეიძლება განვმარტოთ, როგორც უფლება ერთი დამცველის ყოლის შესახებ, თუმცა, არსებობს ისეთი შემთხვევები, როდესაც სახაზინო ადვოკატის გარდა საჭიროა სხვა ადვოკატის ჩართვა საქმეში, რადგან რთულ საქმეებში ერთი ადვოკატი საკმარისი ვერ იქნება.⁹

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს უსასყიდლო იურიდიული დახმარების უფლებას. ეს ხდება მაშინ, თუ ბრალდებულს არ გააჩნია იურიდიული დახმარების ანაზღაურების მატერიალური შესაძლებლობა.¹⁰

როდესაც ვსაუბრობთ იურიდიულ დახმარებაზე, საინტერესოა ასევე ის საკითხი, თუ როდის უნდა ჩაერთოს ადვოკატი საქმეში ანუ საქმის დაწყების რა ეტაპიდან. ამ საკითხზე პასუხი ძალიან მარტივია: იურიდიული დახმარების უფლება წარმოიშობა, მაშინ როცა ეფექტიანი დახმარების გაწევის შესაძლებლობა

⁹ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, 1950, მე-6 მუხლის მე-3 „გ“ ქვეპუნქტისა და საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

¹⁰ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, 1950, მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი;

არსებობს. მაგ: ბრლადებულისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდებისას. პირს შეუძლია მოითხოვოს საქმის წარმოების ამ ეტაპზე ადვოკატი.

ტერმინი „ადვოკატი“ 1990 წელს „სასამართლოებისა და სამართლებრივი მომსახურების შესახებ“ კანონის მიღებამდე ინგლისში აღიარებული არ ყოფილა. იქ გავრცელებული იყო ტერმინი „ბალისტერები“ და „სოლისიტორები“, როგორც იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები.

ბალისტერებზე და სოლისიტორებზე გვესაუბრება კ.გ. გუცენკო და სხვა ავტორები. ამ ორ კორპორაციას თავისი ისტორია აქვს, რომელიც XII-XIII საუკუნეებში იწყება. ეს ორი ინსტიტუტი ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებელი იყო და ასრულებდა დიდ როლს სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებაში. არსებობს ასევე მათ შორის განსხვავება, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: „პირველებს (ბარისტერებს) ყოველთვის ჰქონდათ საქმე სასამართლოსთან, ხოლო მეორეებს (სოლისიტორებს) - კლიენტებთან, რომ პირველებს შეუძლიათ გამოსვლა ყველა სასამართლოში, მეორენი გამოდიან მხოლოდ ქვემდგომ სასამართლოებში.“¹¹

ასევე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სოლისიტორები ძირითადად აწარმოებენ მოსამზადებელ მასალებს, მათ აქვთ საქმე კლიენტებთან, მტკიცებულებებთან, ხოლო რაც შეეხება ბარისტერებს ისინი არიან ორატორები და კონსულტანტები, მათ არ აქვთ უფლება მოამზადონ კლიენტები, ისინი კლიენტებთან კონტაქტში შედიან მხოლოდ სოლისიტორების მეშვეობით. მაგრამ მათი პრივილეგია კი ის არის, რომ ბარისტერებად მუშაობის შემდგომ შეუძლიათ გახდნენ მოსამართლეები.

სოლისიტორები და ბალისტერები შეადგენენ იურისტთა დიდ რაზმს, ისინი თითქმის თანაბრად იღებენ მონაწილეობას სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებაში. „ინგლისის სისხლის სამართლის სამართალწარმოების სპეციფიკის გამო, დაცვის დაცვის განხორციელებისას მათ პროფესიულ მოვალეობას წარმოადგენს ე.წ. პარალელური გამოძიების ორგანიზაცია - გამამართლებელ

¹¹ კ. გ. გუცენკო, ლ. ვ. გოლოვკი, ბ. ა. ფილიმინოვი, დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2007, გვ. 110-111.

მტკიცებულებათა უშუალო შეგროვება ანდა თანამშრომლობის დამყარება კერძო დეტექტივებთან.¹²

ინგლისში დღესდღეობით მიმდინარეობს ბალისტიკების და სოლისიტორების სტატუსის დაახლოებასთან ერთად, სხვა პრაქტიკოსი იურისტების მოდიფიკაციის პროცესი, რომელშიც არ მიეკუთვნებიან აღნიშნულ კორპორაციას. აღსანიშნავია ის, რომ მთლიანობაში ყველა პროფესიათა წარმომადგენელი მიეკუთვნება 1990 წელს გამოცემული კანონით ადვოკატურის სახელწოდებას.

აშშ-სა და კონტინენტური სამართლის ქვეყნებში არსებობს საადვოკატო პროფესიით დაკავებულ პირთა ორგანიზაციის ფორმები, რომლებშიც გაწევრებულნი არიან როგორც პრაქტიკოსი იურისტები, ასევე გარდა ადვოკატებისა, შედიან სხვა პროფილის იურისტები.

აშშ-ს ყველა შტატში არსებობს იურისტთა ასოციაციები, არის ასევე გაერთიანებები, რომელთა საქმიანობა შესაძლოა გასცდეს ერთ შტატს და მოედოს მთელ ქვეყანას. იურისტთა ასოციაციების ძირითადი მიზნებია: „პროფესიულ საქმიანობაში თავისი წევრებისათვის დახმარების გაწევა; იმ პირთა შერჩევა, რომელთაც შეუძლიათ შეასრულონ პრაქტიკოსი იურისტის ფუნქციები; დისციპლინისა და მათი ინტერესების დაცვა.

ისინი ორგანიზებას უწევენ ასოციაციაში შესვლის მსურველთა ცოდნასა და შესაძლებლობების შემოწმებას, რეკომენდაციას უწევენ (ან უარს ეუბნებიან) გარკვეული იურიდიული თანამდებობის დასაკავებლად.¹³

პირი, რომელიც გაწევრიანდება ასოციაციაში ეკისრება გარკვეული მოვალეობები: პირვერ რიგში მან უნდა გადაიხადოს ყოველთვიური საწევრო, რომელიც შეადგენს 200 დოლარს, მუდმივად უნდა შეინარჩუნოს მაღალი დონის კვალიფიკაცია, დაიცვას დისციპლინა, ასევე ვალდებულია დაიცვას როგორც თავისი, ისე ასოციაციის პრესტიჟი. ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი არის ის, რომ ასოციაციის წევრობა ავტომატურად არ ნიშნავს რომ პირი გახდება

¹² კ.გ. გუცენკო, ლ.ვ. გოლოვკი, ბ.ა. ფილიმინოვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 112.

¹³ კ.გ. გუცენკო, ლ.ვ. გოლოვკი, ბ.ა. ფილიმინოვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 255.

იურისტი, მას უნდა ჰქონდეს კონკრეტულ საქმის წარმართვაზე ლიცენზია სასამართლოში.

რაც შეეხება ჰონორარის გადახდას ადვოკატისთვის - ეს საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული აშშ-სა და ანგლოსაქსურ ქვეყნებში. მაღალი ჰონორარი საჭიროა არა მხოლოდ სისხლის სამართის საქმეზე ხარისხიანი იურიდიული დამხარებისთვის, არამედ ასევე დიდი ხარჯების გაწევა ხდება ექსპერტთა მოსაწვევად, დეტექტივების დასახმარებლად.

თავი II. შეჯიბრებითობის პრინციპი

2.1 შეჯიბრებითობა ანგლოსაქსური სამართლებრივი სისტემის მქონე სახელმწიფოებში

შეჯიბრებითობის პრინციპი ფართოთ გავრცელებულია ანგლოსაქსური სამართლებრივი სისტემის მქონე სახელმწიფოებში. მისი ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ „სისხლის სამართლის პროცესი - ეს რის სახელმწიფოსა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ მოქალაქეს შორის დავა, რომელიც სასამართლოში ხორციელდება.“¹⁴

ეს არის დავა, სადაც ორივე მხარე სარგებლოს თანაბარი შესაძლებლობებით, მოიპოვოს, გამოიკვილოს და წარმოადგინოს მტკიცებულებები. ამ პრინციპის არსი მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ აღნიშნული შესაძლებლობები ორივე მხარეს უნდა გააჩნდეს როგორც საქმის სასამართლოში განხილვისას, ისე მისი მომზადებისას.

თუ ჩვენ შევხებით ისეთ საკითხს, როგორცაა მტკიცებულებათა წარმოება და შეკრება, რომლის მომზადებაც სპეციალურად მომზადებული პროფესიონალების საქმეა, რომლის უკანაც დგას სახელმწიფო თავისი უზღვავი ტექნიკური და ორგანიზაციული რესურსით, მაშინ უნდა ითქვას, რომ მსგავსი „იდილია“ მხოლოდ ქაღალდზეა შესაძლებელი.

2.2 შეჯიბრებითობის პრინციპი ქართულ სამართალწარმოებაში

საქართველოს 2009 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლისამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. შეჯიბრებითობა მხარეებს შორის გარატირებულია როგორც გამოძიების, ისე საქმის სასამართლოში განხილვის დროს.

¹⁴ კ.გ. გუცენკო, ლ.ვ. გოლოვკი, ბ.ა. ფილიმინოვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 13.

უნდა აღნიშნოს, რომ აღნიშნული პრინციპი მხარეებს აყენებს თანაბარ მდგომარეობაში. შეჯიბრებითობის პრინციპის მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ მტკიცებულებათა მოპოვება, მოწმეთა მოძიება, მათი სასამართლოში დაბარება და მტკიცებულებათა სასამართლოში წარდგენა მხოლოდ ბრალდებისა და დაცვის მხარის კომპეტენციაა. გამოძიების სტადიაზე ბრალდების და დაცვის მხარეს უნდა გააჩნდეს თანაბარი პროცესუალური შესაძლებლობა მტკიცებულებათა მოსაპოვებლად.

ბრალდების და დაცვის მხარეს აქვს შესაძლებლობა, სისხლისამართლებრივი მწარმოებელი ორგანოსაგან დამოუკიდებლად მოიპოვონ ესა თუ ის მტკიცებულებები და წარადგინონ სასამართლოში.

მტკიცებულებების მოპოვება - ეს არის მთავარი ამოცანა ადვოკატისთვის, რადგან იგი სწორედ ამით შეძლებს დაამტკიცოს თავის დაცვის ქვეშ მყოფის უდანაშაულობა. შეჯიბრებითობის პრინციპის არსიც სწორედ ეს არის, რომ დაცვის მხარემ ყველანაირი დაბრკოლების გარეშე შეძლოს დამოუკიდებლად მოიპოვოს მისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები და შემდეგ გადასცეს შესაბამის ორგანოს გამოსაკვლევად. აღნიშნული პრინციპი ადვოკატებს ავალდებულებს, რომ იყვნენ უფრო აქტიურად ჩართულნი საგამძიებო პროცესში¹⁵.

ადვოკატებმა არ უნდა აუარონ გვერდი იმ საშუალებების გამოყენებას, რომელიც შემუშავებულია კრიმინალისტიკაში. ქართველი პროფესორი შ. ფაფიაშვილი აღნიშნავს: „ცნობილია, რომ კრიმინალისტიკურ ტაქტიკაში შემუშავებულ ხერხებსა და მეთოდებს, დანაშაულის გამოძიების პროცესში, ასევე წარმატებით იყენებს ოპერატიული მუშაკი, დეტექტივი, პროკურორი და სასამართლო, სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს. უფრო მეტიც, მხარეს უფლება აქვს თვითონაც ჩაატაროს საგამომძიებო მოქმედებები.

¹⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ავტ. კოლექტივი, თბ., 2015, გვ. 167.

ე.ი.კრიმინალისტიკური ტაქტიკის გამომყენებელ სუბიექტთა წრე უფრო ფართოა და იგი მართლოდენ გამომძიებლით არ შემოიფარგლება.¹⁶

რადგან ვსაუბრობთ კრიმინალისტიკაზე, უნდა გამოვყოთ კრიმინალისტიკური ტაქტიკა. შ. ფაფიაშვილის აზრით: „კრიმინალისტიკური ტაქტიკა არის კრიმინალისტიკური მეცნიერების ის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ლოგიკის, ფსიქოლოგიის და სხვა მომიჯნავე მეცნიერების მიღწევების ზოგადი დებულებების, საგამომძიებო პრაქტიკისგან ზოგადებისა და საკუთრივ შემუშავებული კვლევის სპეციალური მეთოდების საფუძველზე, საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, ქმნის და შეისწავლის გამოსადიებელ საქმეზე მტკიცებულებათა აღმოჩენისა და გამოკვლევის სარეკომენდაციო ხასიათის ისეთ ტაქტიკურ ხერხებსა და მეთოდებს, რომელთა სწორი, თანმიმდევრული გამოყენება ხელს უწყობს საგამომძიებო მოქმედებების ეფექტურ ჩატარებას და მთელი საგამომძიებო საქმიანობის ოპტიმალურად სწორად წარმართვას.“¹⁷

ჩემი აზრით, იმისთვის, რომ ადვოკატმა საადვოკატო საქმიანობა ეფექტურად წარმართოს, საჭიროა შეიმუშაოს საკუთარი ტაქტიკა, რომლის მიხედვითაც იმოქმედებს. როგორც უკვე ავლნიშნეთ, ადვოკატს გამოძიების და პროცესის ეტაპზე ელოდება მხარე, რომლის უკან დგას სახელმწიფო, რომელიც დაკომპლექტებულია მრავალი სპეციალისტებით.

რუსი ავტორის, ვ. კონინის აზრით, „დაცვის ტაქტიკა“ იყოფა რამოდენიმე ნაწილად, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან და ისინი პრიორიტეტის მიხედვით იყოფიან.¹⁸ ის განმარტავს, რომ ადვოკატმა ყველაზე მთავარ პრინციპად უნდა მიიჩნიოს თავის დაცვის ქვეშ მყოფის უდანაშაულობა და მეორე ამოცანად კი ბრალდების მხარისთვის შესაბამისი წინააღმდეგობის გაწევა, რაც გულისხმობს მტკიცებულებების მოპოვებას, მოწმეების მოძებნას, მან ამით უნდა გაურთულოს საქმე ბრალდების მხარეს.

¹⁶ შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა, დანაშაულთა გამოძიებისა და გახნის მეთოდოლოგია, თბ., 2013, გვ. 306;

¹⁷ იქვე, გვ. 308.

¹⁸ Конин, В. В., Тактика противодействия обвинению и ее субъекты / В. В. Конин // Адвокатура и адвокатская деятельность в свете современного кон-ституционного права. 2004.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ადვოკატს არ აქვს საშუალება გამოიყენოს მტკიცებულებების მოპოვების ყველა ხერხი, რადგან მას კანონის გარდა ზღუდავს ასევე ეთიკის კოდექი. ამიტომ ადვოკატმა უნდა შეინარჩუნოს ბალანსი ეთიკის ნორმებსა და კანონს შორის. თუ ეს ასე არ მოხდება მაშინ შესაძლებელია ადვოკატის საქმიანობა გასცდეს ეთიკის წესებს და მისმა ქცევებმა მიიღოს უკანონო ხასიათი.

რა თქმა უნდა, ეთიკის წესები მხოლოდ დაცვის მხარეზე არ ვრცელდება. იგი ასევე ვრცელდება ბრალდების მხარეზეც. როგორც დაცვას, ისე ბრალდებას არ შეუძლია უგულვებლყოს ეთიკის წესები, მაგრამ სამწუხაროდ პრაქტიკაში ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც ირღვევა აღნიშნული წესები.

სისხლის სამართლის საქმეში შეჯიბრებითობის პრინციპი გულისხმობს, რომ როგორც დაცვას, ისე ბრალდების მხარეს უნდა ჰქონდეს მეორე მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების გაცნობის შესაძლებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნული არის განპირობებული თეორიით, ხოლო რა თქმა უნდა, ერთი შეხედვით ყველა ეს საკითხი, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, თეორიაში მოგვარებულია, თუმცა პრაქტიკაში ბევრ პრობლემას ვაწყდებით.

შეჯიბრებითობის პრინციპის საპირისპირო პრინციპი ცნობილია ე.წ. საგამომიებო (ინკვიზიციური) პრინციპად, რომელიც დამახასიათებელია კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემისთვის. ახალ პროცესში შეჯიბრებითობის პრინციპის შემოღებით უარი ეთქვა ამ უკანასკნელ პრინციპს (ინკვიზიციური პრინციპი). ბოლოს ხსენებული პრინციპის საფუძველზე პრაქტიკულად მტკიცებულებების მოპოვების ფუნქცია მთლიანად ბრალდების მხარეს იყო გადასული.

ბრალდების მხარეს უნდა მოეპოვებინა როგორც ბრალდებულის გამამტყუნებელი, ასევე მისი გამამართლებები მტკიცებულებები. შეჯიბრებითობის პრინციპისგან განსხვავებით, აგრეთვე შეზღუდული არ იყო

მოსამართლის უფლებები. მას შეეძლო დამოუკიდებლად და შეუზღუდავად ჩაეტარებინა გამოძიება და ასე დაედგინა „ჭეშმარიტება“. ¹⁹

შეჯიბრებითობა, როგორც სამართალწარმოების ეფექტური პრინციპი, არა მარტო კოდექსის შესაბამის მუხლებში იქნა დეკლარირებული, არამედ ცალკეული ნორმები, ზოგადი თუ კერძო, ზოგიერთი ხარვეზის მიუხედავად, მისი რეალიზაციისა და პრაქტიკული გამოყენების მყარ საფუძველს ქმნიდა. შეჯიბრებითობის პრინციპმა მყარი გარანტიები შექმნა სისხლის სამართლის პროცესის ამოცანების გადასაწყვეტად, ადამიანის უფლებების დასაცავად.²⁰

შეჯიბრებითობის პრინციპის შემოღებით მხარეთა თანასწორობის გარდა, ასევე ჩნდება კითხვა, როგორ შეძლებს ადვოკატი ან თუნდაც ადვოკატთა ჯგუფი დაუპირისპირდეს ბრალდების მხარეს, რომელშიც მონაწილეობას იღებს მთელი რიგი ორგანოები, ესენია: ოპერატიული სამსახური, საგამომიებო ორგანოები, პროკურატურა. ვფიქრობ რთული იქნება და თითქმის შეუძლებელი სამართალდამცავ ორგანოების ერთიან სისტემას დაუპირისპირდეს ადვოკატი, თან მოგეხსენებათ დღესდღეობით სამართალდამცავ ორგანოებში ხშირად შევხვდებით ისეთ გამომძიებლებს, რომლებსაც საერთოდ არ გააჩნიათ იურიდიული განათლება, ამიტომ ცალსახად ვერ ვიტყვით, რომ სახელმწიფო წარმომადგენელი ყოველთვის არის პროფესიონალი და უფრო გამოცდილი ვიდრე ადვოკატი. ადვოკატს, როგორც მხარეს, უფლება ქვს საქმეში მოიწვიოს სპეციალისტები, ამიტომ არ არის სავალდებულო, რომ მას მოვთხოვოთ ფლობდეს იურიდიული მეცნიერების ყველა დარგს.

ძალიან საინტერესოა კ. გუცენკოს და სხვა ავტორების აზრი იმის შესახებ, თუ რა პრობლემებს ხედავენ შეჯიბრებითობის პრინციპში გარდა სხვა ხარვეზებისა. მათ საუბარი აქვთ მატერიალურ მდგომარეობაზე. ისინი

¹⁹ გ. თუმანიშვილი, სტატია „შეჯიბრებითობის პრინციპი სისხლის სამართლის პროცესში“ ბოლოს გადამოწმებულია 04.05.2017, ხელმისაწვდომია http://alfg.ge/wp-content/uploads/2015/07/sisxlis-temaze-kvleva_opt.pdf;

²⁰ დ. ბენიძე, „შეჯიბრებითობის პრინციპის ტრანსპორმაცია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში“, ხელმისაწვდომია <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-1|-11-ka-50---20-about--00-3-1-00-0-0-11-1-OutfZz-8-10&a=d&c=ekonomik&cl=CL4.2&d=HASHfda9fd570df09c458b7b5.2.4#HASHfda9fd570df09c458b7b5.2.4>

გამოთქვამენ აზრს, რომ როდესაც სახელმწიფოს უპირისპირდება პირი, მას უნდა შესწევდეს იმის უნარი, რომ გაიღოს მეტად მნიშვნელოვანი ხარჯები, რათა უზრუნველყოს მათი თანაშემწეების ტოლფასი სპეციალისტების მოწვევა.²¹ ეს საკითხი ძლიან მნიშვნელოვანია დღევანდელ სამართალწარმოებაში. სახელმწიფო - ეს არის ამოუწურავი შესაძლებლობების მქონე, რომელსაც გააჩნია უამრავი ტექნიკური თუ ფინანსური შესაძლებლობა, სწორედ მას უნდა დაუპირისპირდეს ბრალდებული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეჯიბრებითობის პრინციპის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მხარეებმა დამოუკიდებლად უნდა მოიპოვონ მტკიცებულებები. კონკრეტულად, ბრალდების მხარეს გამამტყუნებელი მტკიცებულებები სახელმწიფო ხარჯზე, ხოლო რაც შეეხება დაცვის მხარეს- მათ დამოუკიდებლად, სახელმწიფო ორგანოების დახმარების გარეშე უნდა იზრუნოს მტკიცებულებების მოპოვებაზე.

სწორედ, ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ბრალდებულს უწევს საკმაოდ დიდი ხარჯების გაღება, ეს იქნება დამცველის შრომის ანაზღაურება თუ მტკიცებულებების მოპოვება. სწორედ ეს საკითხი ხშირად იჩენს თავს სამართალწარმოებაში. სისხლის სამართლის საქმეებზე ხარისხიანი იურიდიული დახმარების მისაღებად საჭიროა, როგორც პროფესიონალი ადვოკატის დაქირავება, ასევე სხვა მნიშვნელოვანი ხარჯების გაწევაც. მაგ.: ექსპერტის ჩართვა საქმეში და სხვა. მსგავსი პრობლემა დგას არა მარტო საქართველოში, არამედ სხვა ქვეყნებშიც.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ქართველი ავტორის ი. აქუბარდიას აზრი. ის აღნიშნავს, რომ მართალია, დაცვის მხარე და ბრალდების მხარე თანაბარი უფლებებით არიან აღჭურვილი საგამომიებო მოქმედების ჩატარებისას, მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალურად, რადგან პრაქტიკაში ვაწყდებით სხვადასხვა პრობლემებს.

კერძოდ, დაცვის მხარეს ნაკლები შესაძლებლობა გააჩნია საგამომიებო მოქმედებების მეშვეობით მოიპოვოს მტკიცებულებები. ი. აქუბარდიას აზრით,

²¹ვ. გ. გუცენკო, ლ. ვ. გოლოვკი, ბ. ა. ფილიმონოვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 14.

ძალიან დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, თუნდაც დაცვის მხრიდან ექსპერტის მოწვევა, ბრალდების მხარისგან განსხვავებით, რომლის უკანაც მთელი სახელმწიფო მექანიზმი დგას თავისი ფართო მატერიალური თუ ტექნიკური რესურსებით.²²

სწორედ ამ საკითხზეა ბევრი სამუშაო და გამოსავლის ნახვა, რაც უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს დღევანდელ სამართალწარმოებაში.

იურისტები ამბობენ, რომ პროცესი, რომელიც ხორციელდება შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე, მისი დანიშნულება არ არის ჭეშმარიტების დადგენა, არამედ ვინ მოიგო სასამართლო დუელში.²³

ჩვენ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ვხვდებით ტერმინს „გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი“, რომლის შექმნა ეკუთვნით ამერიკელ ავტორებს და მათ თანამოსაზრეებს. აღნიშნულ სტანდარტს უკვე ვიყენებთ სისხლის სამართლის კანონმდებლობაშიც. სწორედ ეს სტანდარტია საჭირო საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად.

„გონივრულ ეჭვს მიღმა“ სტანდარტი განმარტებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, მისთვის საჭიროა ობიექტური პირის დარწმუნება, რომ ამა თუ იმ პიროვნებამ ჩაიდინა დანაშაული.

ნაშრომში ავტორთა კოლექტივი, ქართველი ავტორების თქმით: „ანგლო-ამერიკულ სამართალწარმოების გაგებით, შეჯიბრებითობის პრინციპი სამეცნიერო კვლევა არ არის, არამედ ჭეშმარიტების დადგენის შესაძლებლობაა. სასამართლო პროცესი ხორციელდება, როგორც ბანალური დავა ბრალდებასა და დაცვას შორის, საქმის გადაწყვეტის ფუნქცია კი აკისრია სასამართლოს“.²⁴

რაც შეეხება ინგლისურ სამართლის სისტემას, აქ კრიტიკას ვაწყდებით. ი. ბენტამის თქმით „შეჯიბრებითობითი ბრიტანული სისტემა არის იურისტებისთვის შეთქმულება ხალხის წინააღმდეგ, მოსამართლეები და

²²ი. აქუბარდია, დაცვის ხელოვნება, გამ. „მერიდიანი“, თბ., 2011, გვ. 67;

²³კ.ფ. გუცენკო, ლ.ვ. გოლოვკო, ბ.ა. ფილიმონოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 263;

²⁴ავტ. კოლექტივი, რედ.: მ. მანიაშვილი, ჯ. გახოკიძე, ი. გაბისონია, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, მეორე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 340.

ადვოკატები პირდაპირ დაინტერესებულნი არიან იმით, რომ სამართალი იყოს რაც შეიძლება არარაციონალური“.²⁵

ცნება ჭეშმარიტებაზე ჩვენ მომდევნო თავებში ვისაუბრებთ, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჭეშმარიტებასთან დაკავშირებით ორაზროვანი დამოკიდებულება არსებობს, ზოგი მეცნიერი მიიჩნევს, რომ შეჯიბრებითობის ამ მოდელისთვის დამახასიათებელია ხარისხის ჭეშმარიტების მიღწევა, ზოგი კი ამტკიცებს, რომ ინგლისურ-ამერიკულ შეჯიბრებითობის მიღწევაში ვერ ვისაუბრებთ ჭეშმარიტებაზე.

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეჯიბრებითობის პრინციპის შესახებ შესაძლოა სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული აზრი იყოს, ზოგი საუბრობდეს მის უარყოფით, ზოგიც კი დადებით მხარეზე, მაგრამ ცალსახად უნდა ვთქვათ, რომ ამ პრინციპის დამკვიდრებამ ქართულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დიდი როლი ითამაშა ადვოკატის ფუნქციის განვითარებაში.

სისხლის სამართლის პროცესში ზოგადად ექსპერტის მონაწილეობა უმნიშვნელოვანესია. ყველა მხარე არ არის ვალდებული, ფლობდეს ყველა სახის სპეციალურ ცოდნას. ამიტომ, ამის გამო ისინი იწვევენ სპეციალური ცოდნის მქონე ექსპერტს. მსგავსი რამ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებას მუდმივად თან ახლავდა წლების განმავლობაში.

თუმცა, ექსპერტის მონაწილეობას საქმეში სხვადასხვა ავტორები სხვადასხვანაირად აფასებენ. ზოგი მიიჩნევს, რომ ექსპერტის მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნა არ შეიძლება ჩაითვალოს მტკიცებულებად, იგი მხოლოდ ინფორმაციაა და შეფასებითია. ჩემი აზრით, ექსპერტიზის დასკვნა ზუსტადაც რომ უნდა ჩავთვალოთ მტკიცებულებად, რადგან მხარეებს არ შეუძლიათ მოახდინონ საექსპერტო დასკვნის ანალიზი, რადგან მათ სპეციალური ცოდნა არ გააჩნიათ.

მოქმედი კანონის თანახმად საადვოკატო გამოძიების დროს, ადვოკატს აქვს უფლება საკუთარი ხარჯებით მოიწვიოს ექსპერტი და ჩააბას საქმეში.

²⁵ გ. ნადირაშვილი, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, გამ.: „ბონა-კაუზა“, თბ., 2008, გვ. 213.

ძველი სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, ექსპერტად მიიჩნეოდა ის პირი, ვისაც ქონდა სპეციალური ლიცენზია.

ამ ლიცენზიით დასტურდებოდა ის, რომ მას ჰქონდა სპეციალური განათლება და გამოდგებოდა პროცესისთვის. თუმცა, შეიცვალა სისხლის სამართლის საპროცესო პროცესი და ეხლა უკვე ექსპერტი არ საჭიროებს სპეციალურ ლიცენზიას და შესაბამისად ნებისმიერს შეუძლია იყოს ექსპერტი, მხარემ უნდა განსაზღვროს მას აქვს თუ არა შესაბამისი გამოცდილება ამ სფეროში.

ამ შემთხვევაში უკვე მოსამართლე წყვეტს, თუ რამდენად მისაღებია და რამდენად კომპეტენტურია ესა თუ ის ექსპერტი. ამ შემთხვევაში მოსამართლეებს უკვე წინასწარ გააჩნიათ სიმპათიები რომელიმე კონკრეტული ექსპერტის მიმართ. პრობლემა გვხვდება, როდესაც ადვოკატი ირჩევს ექსპერტს არასახელმწიფო საექსპერტო დაწესებულებიდან, ამ დროს უკვე მოსამართლეებს წინასწარ გააჩნიათ არასაიმედოობის განცდა. რაც თავის მხრივ სიმართლეს შეეფერება. რადგან კერძოდ აყვანილი ექსპერტების დასკვნები სრულდება შეკვეთით და შესაძლოა მათი დასკვნები მივიჩნიოთ, როგორც არაობიექტური.

ასევე ჩნდება მეორე პრობლემა, კერძოდ თუ ექსპერტი არის სახელმწიფო დაწესებულებიდან, მან შესაძლოა „ვერ დაინახოს“ ან „თვალი დახუჭოს“ თავისი კოლეგის მიერ დაშვებულ შეცდომაზე და მისი დასკვნაც შეიძლება მივიჩნიოთ არაობიექტურად. ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, რომ პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია შეჯიბრებითობის პრინციპი, რომელმაც თანაბარ მდგომარეობაში უნდა ჩააყენოს ორივე მხარე ექსპერტთან მიმართებაში. შესაძლებელია კანონმდებლობა ორივე მხარეს ამ საკითხში თანაბარ მდგომარეობაში აყენებს, მაგრამ როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა მეტი პრიორიტეტი ენიჭება ბრალდების მხარეს და მის მიერ ჩატარებულ ექსპერტიზას.

ამ პრობლემის გადაჭრა, რაღა თქმა უნდა, პირველ რიგში, შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ადვოკატების სრული ჩართულობით და მათი მონდომებით.

აქვე უნდა ვისაუბროთ ისეთ პრობლემაზე, როგორცაა საადვოკატო გამოძიების პროცესში პირის გამოკითხვის საკითხები. როგორც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლში არის გაწერილი: „ნებისმიერი პირი, რომელიც შესაძლებელია ფლობდეს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, ნებაყოფლობით შეიძლება გამოკითხული იქნეს მხარეთა მიერ“.

თუმცა, 113-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად ჩვენ ვხვდებით, რომ ბრალდების მხარე აშკარა უპირატესობით სარგებლობს ვიდრე დაცვის მხარე, მას შეუძლია სასამართლოს მიმართოს და იძულების წესით დაკითხოს მოწმე თუ მისგან უარი მიიღო დაკითხვაზე, ხოლო რაც შეეხება ადვოკატს, მას მხოლოდ პირის სურვილის შემთხვევაში აქვს მისი დაკითხვის უფლება.

ასევე აღსანიშნავია, ის რომ გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაცია ვერ მიიღებს მტკიცებულების ფორმას, თუ იგი არ არის მიღებული კანონის სრული დაცვით.

როდესაც ადვოკატი შეიტყობს იმ პირის არსებობის შესახებ, რომელიც ფლობს ამა თუ იმ საქმეზე ინფორმაციას, იგი მაშინვე იწყებს მის ძებნას, როგორც ოპერატიული მუშაკი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი უნდა ფლობდეს არა მარტო ადვოკატის, არამედ ოპერატიული საქმიანობისთვის დამახასიათებელ უნარ-ჩვევებს, რაც მას გაუადვილებს მტკიცებულებების მოპოვებას და მისცემს შესაძლებლობას, ოპონირება გაუწიოს ბრალდების მხარეს როგორც გამოძიების სტადიაზე, ისე სასამართლოში.

2.3 თანასწორუფლებიანობის პრინციპი

როდესაც ვსაუბრობთ შეჯიბრებითობის პრინციპზე, უნდა შევეხოთ ასევე თანასწორუფლებიანობის პრინციპს. ეს პრინციპი, როგორც შეჯიბრებითობის პრინციპი, არის სამართლიანი სასამართლოს განუყოფელი ნაწილი. ეს პრინციპი თანაბარ მდგომარეობაში აყენებს ორივე მხარეს. თუმცა, სამწუხაროდ, მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპზე ბევრი არაფერია ნათქვამი ადამიანის

უფლებათა ევრუპულ კონვენციაში და არც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტში.

როგორც უკვე აღვნიშნე, თანასწორუფლებიანობის პრინციპი მჭიდრო კავშირშია შეჯიბრებითობის პრინციპთან. ამ ორი პრინციპიდან გამომდინარე აუცილებლად უნდა იქნას მოსმენილი ორივე მხარის არგუმენტაცია და უნდა ჰქონდეთ მათ თანაბარი შესაძლებლობა ამა თუ იმ წამოყენებულ არგუმენტაციაზე გააკეთონ კომენტარი.

თანასწორუფლებიანობა შეეხება ძირითადად ურთიერთისაწინააღმდეგო ინტერესების მქონე პირებს. აღნიშნული პრინციპი შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც სამოქალაქო ისე სისხლის სამართლის პროცესში, მაგრამ ეს შეიძლება მოხდეს ნეიტრალური სასამართლოს წინაშე. ამ შემთხვევაში სრული თანასწორობის მიღწევაც შეუძლებელია.

შტეფან ტრექსელი თავის ნაშრომში „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“ საუბრობს სწორედ ამ პრინციპთან დაკავშირებით. იგი აღნიშნავს, რომ მხარეთა თანასწორუფლებიანობა არ არის ადეკვატური რეალობა სისხლის სამართლის პროცესში. როდესაც იწყება სამართალწარმოება, ორივე მხარე - ბრალდებაც და დაცვაც, განსხვავებულ მდგომარეობაშია. როგორც შ. ტრექსელი განმარტავს, „ბრალდება მოქმედებს პირადი ინტერესების გარეშე, მისი ერთადერთი მიზანია, ემსახუროს მართლმსაჯულებას, ანუ უზრუნველყოს ჭეშმარიტიების დადგენა და კანონის სწორად გამოყენება“.²⁶

რაც შეეხება ბრალდებულს და დაცვის მხარეს, იგი მოქმედებს თავისი ინტერესებიდან გამომდინარე. ერთმანეთს რომ შევადაროთ ბრალმდებელისა და ბრალდებულის უფლება-მოვალეობები აშკარა უპირატესობას დავინახავთ ბრალდების მხარისა. მას აქვს რიგი საგამომიებო მოქმედებების ჩატარების უფლება, რაც არ გააჩნია დაცვის მხარეს. კერძოდ ესენია: ჩხრეკა, ამოღება, სატელეფონო მოსმენა, დაპატიმრება. ხოლო რაც შეეხება დაცვის მხარეს, შეიძლება მის უპირატესად ჩავთვალოთ ის, რომ ის ფლობს სწორ და უტყუარ

²⁶ შ. ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009, გვ. 451.

ინფორმაციას მომხდარის შესახებ, თუ რა თქმა უნდა დამნაშავეა. მტკიცების ტვირთიც ბრალდების მხარეს ეკისრება, ბრალდებულს კი შეუძლია მთელი პროცესის განმავლობაში გამოიყენოს მისთვის კანონით მინიჭებული უფლება-დუმილის უფლება.

თანასწორუფლებიანობის პრინციპზე საუბრისას მოკლედ უნდა შევეხოთ იმ თემას, როგორცაა დისკრიმინაცია. ეს პრინციპი პირდაპირ კავშირშია დისკრიმინაციის აკრძლვასთან. დისკრიმინაცია შესაძლოა გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით. მაგ: როდესაც ხდება ადამიანის გარჩევა მისი რელიგიური შეხედულებების გამო, მისი კანის ფერის გამო, რელიგიური რწამსის გამო და სხვ. სწორედ მსგავს პრობლემებს ეხება და უხეშად, რომ ვთქვათ „ავგარებს“ თანასწორუფლებიანობის პრინციპი.

2.4 მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის არსი ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლო პრაქტიკის თანახმად

მხარეთა შეჯიბრებითობა და თანასწორობა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული უფლება-სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების შემადგენელი უმნიშვნელოვანესი გარანტიაა. ის დაკავშირებულია ევროპის კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებულ ისეთ სპეციალურ უფლებებთან, როგორცაა წარდგენილი ბრალდების არსისა და საფუძვლის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება.²⁷

ევროპული სასამართლოს განმარტებით, სისხლის სამართლის საქმეში შეჯიბრებითობის პროცესზე უფლება გულისხმობს, რომ როგორც ბრალდების ისე დაცვის მხარეს უნდა მიეცეს მეორე მხარის მიერ წარდგენილი მოსაზრებებისა და მტკიცებულებების გაცნობის და მათზე საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა.²⁸

²⁷ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, 1950, 6.3(ა) მუხლი.

²⁸ბრანდ შტეტერი ავსტრიის წინააღმდეგ, (Brandstetter v. Austria), აგვისტო, 1991, პარაგრაფი 67); ლოკანენი და მანინენი ფინეთის წინააღმდეგ (Laukkanen and Manninen v. Finland), 3 თებერვალი, 2004, პარაგრაფი 34.

მხარეთა თანასწორობა, ევროპული სასამართლოს აზრით, გულისხმობს, რომ თითოეული მხარეს უნდა მიეცეს პოზიციის, მათ შორის მტკიცებულებების წარდგენის გონივრული შესაძლებლობა ისეთ პირობებში, რომლებიც მას არ ჩააყენებს არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში მოწინააღმდეგესთან შედარებით.

თავი III. ტრადიციული და საადვოკატო გამოძიება

3.1 საადვოკატო გამოძიება

მინდა შევხუთ ასევე ისეთ საკითხს, როგორცაა საადვოკატო გამოძიება. აღნიშნულ თემაზე უნდა დავიწყოთ საუბარი ძველი ქართული ისტორიიდან. გავიგოთ, თუ რა ეტაპიდან არის ცნობილი ეს ცნება.

უნდა ითქვას, რომ საქართველოში დამცველის ინსტიტუტი გვხვდება უძველესი დროიდან. ივანე ჯავახიშვილის თქმით: „ბრალდებულს სასამართლოში დამცველიც შეიძლება ჰყოლოდა, რომელნიც ბრალდებულის პასუხისმგებლობისაგან განსათავისუფლებად, თუ მოსალოდნელი მსჯავრის სიმკაცრის შესამსუბუქებლად მოსამართლეს სხვადასხვა საბუთსა და მოსაზრებებს უდგენდნენ“.²⁹ ჩვენ შესაძლოა ზუსტი ცნება მისგან ვერ მივიღოთ დამცველისა, მაგრამ ფაქტია, რომ ბრალდებულს უნდა ჰყოლოდა დამცველი და სწორედ ამ დამცველის მეშვეობით წარედგინა სასამართლოში მტკიცებულებები. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ტერმინი საადვოკატო გამოძიება ოდითგანვე არსებობდა.

რაც შეეხება მტკიცებულებების წარდგენას სასამართლოში, ბუნებრივია, უნდა მომხდარიყო კანონის შესაბამისად, როგორც მათი მოპოვება ანუ ჩვენ უნდა ვივარაუდოთ, რომ იმდროინდელ საქართველოში მოწესრიგებული იყო მსგავსი საკითხები.

საადვოკატო გამოძიებასთან დაკავშირებით ძალიან საინტერესო ცნობებს ვაწყდებით ი. აქუბარდიას ნაშრომში. იგი განმარტავს, რომ საქართველოში გავრცელებული ყოფილა ტერმინი „ვექილი“, რომელიც რწმუნებულს ნიშნავს.³⁰

საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვა ტიპის სისხლის სამართლის პროცესის ფორმა იყო გავრცელებული. ფეოდალურ საქართველოში უფრო ხშირად გვხვდებოდა საბრალდებო პროცესი. ამის შესახებ შეგვიძლია მოვიშველიოთ პროფესორ ვ. მეტრეველის აზრი, რომ „ფეოდალურ

²⁹ ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, თორმეტი ტომი, ტომი 7, თბ., 1984, გვ. 311;

³⁰ ი. აქუბარდია, დაცვის ხელოვნება, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2011, გვ. 235.

საქართველოში ფიქსირდება საბრალდებო პროცესი, რომლისათვისაც დამახასიათებელია შეჯიბრებითობის პრინციპი, რაც იმით გამოიხატება, რომ მხარეებს საქმის წარმოებისას თანასწორი უფლებები ჰქონდათ. სწორედ მხარეები აგროვებდნენ დამამტკიცებელ საბუთებს და წარადგენდნენ განსახილველად სასამართლოში.“³¹

საქართველოს ისტორიაში ვხვდებით ისეთ ფაქტებს, როდესაც ანტიკური ქვეყნების მსგავსად, სასამართლო პროცესზე იყენებდნენ ხმალს და ამ ორთაბრძოლაში გამარჯვებული ავტომატურად ითვლებოდა მოგებულ მხარედ.

ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ აღნიშნული ინსტიტუტი საქართველოსთვის სიახლეს წარმოადგენს, მაგრამ თუ შევადარებთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს, მაშინ ვნახავთ, რომ აღნიშნული ინსტიტუტი საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლოს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში (აშშ, დიდი ბრიტანეთი). ასევე, საადვოკატო გამოძიებაზე საუბარია ევროპის სხვადასხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებში, როგორცაა მაგალითად „ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია“.³²

ის, რომ ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა შემოიტანა ახალი ტერმინი „გამოძიება“, ეს უდაოდ დადებითი მხარეა. თუმცა, ის ტერმინები, რომლებიც მოხსენიებული იყო ძველ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დღეს უკვე აღარ გვხვდება. ესენია, მაგ.: კერძო გამოძიების ინსტიტუტი და კერძო დეტექტივი. ჩემი აზრით, აღნიშნული შესაძლოა მივიჩნიოთ ახალი კოდექსის ნაკლოვანებად, რადგან მან კი არ გააფართოვა დაცვის უფლებები, არამედ შეიძლება ითქვას, რომ ვერც კი შეინარჩუნა იგი.

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის საერთაშორისო ექსპერტებს და ეს ეროვნული საკანონმდებლო აქტი დემოკრატიის განვითარებისკენ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნეოდა.

³¹ვ. მეტრეველი, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2003, გვ. 415;

³²ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, 1950.

ჟურნალში „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია-ადვოკატი“³³ ადვოკატი გურამ გვანცაძე საუბრობს, რომ „მომატებულ ინტერესს იწვევდა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ აისახებოდა ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე“.

როგორც ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აწესებს, ორივე მხარე იმყოფება თანაბარ პირობებში, მათ ყველა მასალაზე თანაბრად უნდა ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა. აღნიშნული პრობლემა არ არის ახალი მეცნიერებისთვის და მომუშავე პრაქტიკოსებისთვის. ადვოკატი ჟურნალში საუბრობს მოსკოვის ლომონოსოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2001 წლის გამოცემულ ნაშრომზე „დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესზე“, სადაც ავტორები განმარტავენ, რომ „შეჯიბრებითობის პროცესი, რომელიც ბრალდებისაგან განვითარდა, განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული ანგლოსაქსურ სამართლებრივი სისტემების მქონე სახელმწიფოებში“ ანუ ორივე მხარეს აქვს თანაბარი უფლებები მტკიცებულებათა შეკრების, მისი წარმოდგენის და გამოკვლევისათვის.

ნაშრომში იქვე აქცენტია გაკეთებული, რომ „მსგავსი იდილია მხოლოდ ქალაქებში წერია და უამრავი მაგალითებით მტკიცდება, რომ პრაქტიკაში ბრალდების მხარე ჯობნის დაცვის მხარეს, მთელ რიგ საკითხებში“ როგორც ტენიკური, ისე მატერიალური რესურსებით.³⁴

თუ ჩვენ საუბარი გვაქვს დაცვის მხარის ფართო პროცესუალურ მდგომარეობასთან, მაშინ უნდა აღინიშნოს, რომ 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ბევრად უფრო ფართო უფლებებს ანიჭებდა დაცვის მხარეს და ასევე უნდა ითქვას, რომ ეს კოდექსი ადეკვატურად აისახებოდა სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკაში.

დაცვის მხარეს იმის შესაძლებლობა, რომ უფრო მეტი შესაძლებლობა ჰქონოდა გაეწია ღირსეული პაექრობა ბრალდების მხრისთვის, მიეცა მას შემდეგ,

³³საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, ჟურნალი „ადვოკატი“, 2017, N1-2;

³⁴კ. გ. გუცენკო, დ. ვ. გოლოვკო, ბ. ა. ფილიმინოვი, „დასახელებული ნაშრომი, გვ. 13-14.

რაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გამოვიდა ინკვიზიციურობის საწყისიდან.

სინამდვილეში, საადვოკატო გამოძიებაში არსებობს რიგი პრობლემები და ძალიან სამწუხაროა ის, რომ არ ხდება მათი დამუშავება თანამედროვე ლიტერატურაში. აქვე მინდა მოვიშველიო სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერების და პროფესორ იურისტთა აზრი. მაგალითად, ბ-ნი მინდია უგრეხელიძე აღნიშნავს, რომ „როდესაც ჩვენი ახალგაზრდები გაემურებიან უცხოეთში სასწავლებლად, მოდით პირდაპირ ვთქვათ, რომ თითოეული მათგანი იქედან ეზიდებიან იმას, რასაც დასწვდება. გერმანიაში თუ წავა, გერმანულ იდეებს ავრცელებს, ამერიკაში თუ წავა, ამერიკულ ინსტიტუტებსა და კონცეფციებს ქადაგებს. საბოლოო ჯამში ჩვენ ვიღებთ დომხალს, რომელიც ართულებს წინვლას და მართლმსაჯულების საქმე უფრო რთულდება, იმის ნაცვლად, რომ იგი კიდევ უფრო გაადვილდეს“.³⁵

2014 წლამდე დაცვის მხარეს ჰქონდა საგამონაკლისო უფლება. მას შეეძლო „შემოენახა“ და არ წარედგინა ერთი მისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულება, თუმცა ეს გაუქმდა 2014 წლიდან. ახლა მან შუამდგომლობის საფუძველზე მოპოვებული ყველა მტკიცებულება ჯერ უნდა გადასცეს ბრალდების მხარეს გამოსაკვლევად.

ადვოკატის ცნება განმარტებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-9 პუნქტში. ეს არის პირი, რომელიც კანონით გაწერილი წესით იცავს ბრალდებულს და უწევს მას იურიდიულ დახმარებას. შეჯიბრებითობის პრინციპი, როგორც გამოძიების სტადიაზე ისე სასამართლო პროცესზე გარანტიებულია, აღნიშნული პრინციპი თანაბარ მდგომარეობაში აყენებს მხარეებს, რომ მათ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები თანაბრად წარუდგინონ სასამართლოს.

ამ პრინციპის მთავარი არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ინფორმაციის მოძიება, მტკიცებულებების მოპოვება, მოწმეების დაკითხვა არის მხოლოდ დაცვისა და ბრალდების მხარის კომპეტენცია. ის ფაქტი, რომ დამცველი

³⁵„სამართალი და მსოფლიო“, საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი, 2015, N2.

და ბრალდებული უფლებამოსილია ბრალდებულის მხარისგან დამოუკიდებლად მოიპოვოს მტკიცებულებები ეს უდაოა.

ე. მარტინჩიკის განმარტებით: „კერძო საადვოკატო საქმიანობა“ აღიქმება, როგორც ადვოკატის დამოუკიდებელი საქმიანობა, რომელსაც შემხებლობა არ გააჩნია სახელმწიფო გამოძიებასთან. ამ შემთხვევაში ადვოკატი თავის მიზნის მისაღწევად გამოძიების კონკრეტულ ეტაპზე ატარებს კონკრეტულ ღონისძიებებს, თუმცა მნიშვნელოვანი ის არის, რომ თვით ეს მოქმედება, ან მიღებული შედეგი კავშირში არ არის სახელმწიფო გამოძიებასთან ანუ არ შეიძინა საჯარო ხასიათი. ადვოკატი კანონზე დაყრდნობით მონაწილეობს სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებებში, აყენებს შუამდგომლობებს, ასრულებს კანონით მინიჭებულ სხვა ვალდებულებებს, რომლებიც მას სძენს საჯარო ხასიათს, რომლებიც მიმართულია კლიენტის ინტერესების დაცვისათვის“.³⁶

რაც შეეხება ალტერნატიულ გამოძიებას, იგი არის გამოძიების ერთ-ერთი სახე და მისი ჩატარების უფლება აქვს მხოლოდ დაცვის მხარეს. ე. მარტინჩიკის აზრით, „ბუნებრივია, „ალტერნატიული გამოძიება“ თავისთავად არ წარმოადგენს ღირსეულ ალტერნატივას მრავალსაუკუნოვანი ისტორიით შემოწმებული სახელმწიფო გამოძიებისა, თუნდაც მრავალი არსებითი ნაკლოვანებების გათვალისწინებით. ადვოკატი პროფესიულად არ არის მზად იმისათვის, რომ ჩაატაროს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება იმ სახით, რომ თავისი არსით იგი გახდეს სახელმწიფო გამოძიების ალტერნატივა, რომელსაც ახორციელებენ კომპეტენტური ორგანოები“.³⁷

3.2 შეზღუდვები საადვოკატო გამოძიებაში

რაც შეეხება დამცველზე დაწესებულ შეზღუდვებს, როდესაც მსგავს შეზღუდვაზე ვსაუბრობთ, უნდა გავუსვათ ხაზი იმ უდაო ფაქტს, რომ დამცველის მომსახურების უფლებამოსილება უნდა შემოიფარგლებოდეს იმ პირობით, რომელსაც გააჩნიათ იურისტის კვალიფიკაცია, საადვოკატო

³⁶Мартынич Е.Г., Адвокатское расследование в уголовном процессе. Теоретико-методологические основы доктрины адвокатского расследования, Издат-во „Юрист“, Тула, 2009, Стр. 245;

³⁷ იქვე.

საქმიანობის ნებართვა. მოვიყვანოთ უცხო ქვეყნის მაგალითი, მაგ: საფრანგეთში ბრლადებულის დაცვა შეუძლიათ მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის სპეციალური კვალიფიციურ ადვოკატებს, რაც შეეხება ინტერამერიკულმა სასამართლომ, მან განიხილა საკმაოდ უცნაური საკითხი, პერუში გამოცემული დეკრეტი იუსრისტებს უკრძალავდა დამცველის ფუნქციების შესრულებას ტერორისტულ საქმეზე დაკავშირებით ერთზე მეტ საქმეზე.

დაცვის მხარე არა მარტო პირთა გამოკითხვის დროს არის შეზღუდული, არამედ სისხლის სამართის საქმეზე ელემენტარული ინფორმაციების შეგროვება-გამოთხოვასთან დაკავშირებით. მაგალითად,თუ მას სურს მიიღოს ინფორმაცია პირის ნასამართლეობის შესახებ, საზღვრის კვეთის შესახებ, ან რაიმე სხვა სახის დახასიათება. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად პიროვნების შესახებ ინფორმაცია ფაქტორივად მიეკუთვნება პერსონალურ მონაცემებს და მათი მიღება მკაცრად შეზღუდულია, რასაც ვერ ვიტყვით ბრალდების მხარეზე. ეს შეზღუდვა მათზე არ მოქმედებს.

მათ თავისუფლად აქვთ შესაძლებლობა, მსგავსი ინფორმაცია მიიღონ პიროვნებაზე. ეს ყოველგვარი საფასურის გარეშე. აქაც სწორედ ირღვევა შეჯიბრებითობის პრინციპი. სსსკ-ის 136-ე მუხლით ამგვარი ინფორმაციის გამოთხოვის უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ და მხოლოდ ბრალდების მხარეს და იქ ნახსენები არ არის დაცვის მხარე.

მსგავსი პრობლემების გადასაჭრელად ადვოკატები ხშირად მიმართავენ შემდეგ ხერხს. ისინი შუამდგომლობით შედიან სასამართლოში, მსგავსი ინფორმაციის მიღების თაობაზე, მაგრამ სამწუხაროდ ამ ტიპის შუამდგომლობები იშვიათად კმაყოფილდება. მსგავსი პრობლემა არსებობს იუსტიციის სამინისტროში, როდესაც ადვოკატებს ეუბნებიან მასიურად უარს მათი დაცვის ქვეშ მყოფის პერსონალური ინფორმაციის მიღების თაობაზე ადვოკატის ორდერის წარდგენის მიუხედავად. პასუხად კი მოითხოვენ მინდობილობას, მაგრამ ზოგ შემთხვევაში შესაძლოა მინდობილობის მიღება გაჭირდეს, მაგალითად თუ პირი საზღვარგარეთ იმყოფება პატიმრობაში ან თუნდაც საერთოდ ძებნილია.

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა გავაკეთოთ დასკვნა, რომ როდესაც მიმდინარეობს ცვლილებების შეტანა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, მასში არი არის გათვალისწინებული არცერთი პროკურორის და ადვოკატის მოსაზრებები, აქედან გამომდინარე შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი არის სრულიად ფარსი, ისევე როგორც საადვოკატო გამოძიება.

ეს ყველაფერი გაგრძელდება მანამ, სანამ გათვალისწინებული არ იქნა ადვოკატებისა და პროკურორების შეხედულებები ამა თუ იმ საკითხზე. აქვე უნდა მოვიყვანოთ მაგალითი იმისა, რომ აღნიშნული საკითხი ნამდვილად არსებობს და ყურადსაღებია. ლ. მსხილაძე ნაშრომში „საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის ადგილი თანამედროვე სამართლებრივ ოჯახში“, საუბრობს, რომ „კონტინენტური ევროპის, საერთაშორისო სამართლის და ქართული სამართალწარმოების საწყისის მხარეთა თანასწორობა. თანასწორობა მოიცავს მრავალ ასპექტს, აქ პირველ რიგში იგულისხმება ნორმატიული თანასწორობა, რაც გულისხმობს ბრალდებისა და დაცვის მხარის კანონით მინიჭებულ თანაბარ შესაძლებლობებს მტკიცებულებათა შეკრება-დამაგრების მიზნით.“

რაც შეეხება ი. აქუბარდიას, ის აღნიშნავს, რომ „მოქმედი საპროცესო კოდექსის ძალაში შესვლიდან დღემდე მასში შესული ცვლილებებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საპროცესო კანონმდებლობის ლიბერალიზაციის თვალსაზრისით“, მაგრამ აქვე განმარტავს, რომ აღნიშნული კანონმდებლობა ისევ საჭიროებს გადახედვას.

3.3 ტრადიციული გამოძიების მნიშვნელობა

წინა თავში განვიხილეთ საადვოკატო გამოძიება, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია ზოგადად განვიხილოთ ტრადიციული გამოძიების ფორმა და ეს ორი ინსტიტუტი შევადაროთ ერთმანეთს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს იურისტების განსხვავებული მოსაზრებები. დავიწყოთ ტრადიციული გამოძიების არსის განხილვით.

ის ფაქტი უდავოა, რომ სისხლის სამართლის საქმე სასამართლოში ვერ განიხილება მანამ, სანამ კონკრეტულ საქმეზე გამოძიება არ ჩატარდება და რა თქმა უნდა გამოძიების ჩატარება სავალდებულოა სისხლის სამართლის ნებისმიერი საქმისთვის. გამოძიების ეტაპზე ხდება პირველ რიგში მტკიცებულებების მოგროვება, მათი შემოწმება, ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მტკიცებულებების მოგროვებას აქვს საკუთარი წესი, რომელიც რეგულირდება სისხლის სამართლის კოდექსით.

როგორც უკვე მოგახსენეთ, „გამოძიების“ ცნების ერთიან განსაზღვრაზე არსებობს სხვადასხვა მოსაზრებები. მაგ.: ნ. ერიაშვილის განმარტებით, „გამოძიება ეს არის მიზანმიმართული პროცესი, რომლის მიზანს შეადგენს დანაშაულის წარსული მოვლენის რეკონსტრუქცია, იმ კვალთა მიხედვით, რომელიც აწმყოშია აღმოჩენილი გამომძიებლის მიერ“.³⁸

მართალია, აღნიშნულ საკითხზე ქართველ ავტორთა მხრიდან პერიოდულად ქვეყნდება სხვადასხვა ნაშრომები, მაგრამ არ არის საკმარისი პრობლემების სრულყოფილად გაშუქებისთვის.

საადვოკატო გამოძიება - ეს არის ახალი ინსტიტუტი სამართლებრივ სისტემაში. ვიცით, რომ გამოძიება არის სისხლის სამართლის პროცესის დამოუკიდებელი სტადია და იგი რეგულირდება კანონით. დაცვის მხარისგან განსხვავებით, ტრადიციულ გამოძიებაში ბრალდების მხარეს კანონით განსაზღვრული აქვს კონკრეტული ღონისძიებების განხორციელების გეგმა. აქვე უნდა დავამატოთ, რომ ადვოკატი არ ზის რაიმე ჩარჩოებში და სახელმწიფოს არ აქვს უფლება ჩაერიოს მის საქმიანობაში. იგი ვერ მიუთითებს ადვოკატს რაიმე დოკუმენტის შექმნისკენ, განსხვავებით ბრალდების მხარისგან.

რაც შეეხება გამოძიების ეტაპებს, შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ეტაპები:

1. გადაწყვეტილება საქმის წარმოების მიღების თაობაზე;
2. საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარება;
3. ბრალის წაყენება;

³⁸ ნ. ერიაშვილი, წინასწარი გამოძიების ფსიქოლოგიური თავისებურებები: სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებელი სტუდენტებისთვის, რედ. ს. ბარამიძე, მ. სულხანიშვილი, თბ., 2009, გვ. 6.

4. გადაწყვეტილების მიღება გამოძიების დასრულებაზე და გამოძიების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების მხარეებთან გაცნობაზე;
5. საქმის გადაგზავნა სასამართლოში.

თუმცა, შესაძლოა სისხლის სამართლის საქმეში აღნიშნული ეტაპები არ გამოიაროს. მაგ.: როცა მოხდება საქმის შეწყვეტა, განრიდება ან საპროცესო შეთანხმება. რაც შეეხება საადვოკატო გამოძიებასთან პარალელს, გვხვდება საერთო ნიშნები, კერძოდ: სისხლის სამართლებრივი საქმის დაწყებიდან ადვოკატის ჩართვა, მისი მონაწილეობა სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებებში, სასამართლო განხილვაში, მაგრამ ადვოკატი არ არის უფლებამოსილი საგამოძიებოსგან განსხვავებით, რომ მიიღოს გადაწყვეტილება საქმის შეწყვეტასთან დაკავშირებით.

გამოძიებების ჩატარება რეგულირებულია სისხლის სამართლის საპროცესო ნორმით.

უნდა აღინიშნოს, რომ გამოძიებლებისთვის ცალკეული საპროცესო თუ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება სავალდებულოა და ასევე კონკრეტულ შემთხვევაში კანონმდებელი აწესებს მათი ჩატარების ზოგად შემთხვევებს. მაგალითად, ის, რომ პირს სანამ ბრალს წარუდგენენ, უნდა მოხდეს მისი უფლებების გაცნობა. ასევე ის ვადებია გაწერილი, თუ რა ვადაში უნდა მოხდეს პირის პირველი წარდენა სასამართლოში.

თავი IV. ადვოკატი გამოძიების სტადიაზე

4.1 ადვოკატის პროცესუალური მომარეობა გამოძიების სტადიაზე

მტკიცებულებების მოპოვება ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ადვოკატებისთვის. სწორედ მის მიერ მოპოვებული მტკიცებულებებით დგინდება სასამართლო პროცესზე მისი დაცვის ქვეშ მყოფის უდანაშაულობის დამტკიცება ან შემამსუბუქებელი გარემოება. როგორც უკვე ვისაუბრეთ, შეჯიბრებითობის პრინციპის თანახმად, ადვოკატები უფრო აქტიურად არიან ჩართულნი გამოძიების ეტაპზე.

ადვოკატს სჭირება თავისი ძალების მაქსიმალურად გამოყენება, მან უნდა შეიმუშაოს ტაქტიკა, რადგან მას ელოდება მხარე, რომელსაც შეადგენს: გამომძიებელი, პროკურორი და სხვა მრავალი სპეციალისტი. უნდა აღვნიშნოთ, ისიც რომ ადვოკატი ვერ გამოიყენებს ყველა ტაქტიკურ ხერხს, რადგან მას კანონის გარდა უკრძალავას ეთიკის კოდექსი.

თუ ჩვენ საუბარი გვაქვს დაცვის მხარის ფართო პროცესუალურ მდგომარეობასთან, მაშინ უნდა აღვნიშნოთ, რომ 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ბევრად უფრო ფართო უფლებებს ანიჭებდა დაცვის მხარეს და ასევე უნდა ითქვას, რომ ეს კოდექსი ადეკვატურად ასახავდა სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკას.

2014 წლამდე დაცვის მხარს ჰქონდა საგამონაკლისო უფლება, მას შეეძლო „შემოენახა“ და წარედგინა ერთი მისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულება. თუმცა, ეს გაუქმდა 2014 წლიდან. ახლა მან შუამდგომლობის საფუძველზე მოპოვებული საგანი, ნივთი ან ნებისმიერი სახის სხვა დოკუმენტი ჯერ უნდა გადასცეს ბრალდების მხარეს გამოკვლევის მიზნით.

ის ფაქტი, რომ დამცველი და ბრალდებული უფლებამოსილია ბრალდების მხარისგან დამოუკიდებლად მოიძიოს მტკიცებულებები, მასალები და ინფორმაციები, ეს უდავოა. ეს აქსიომა რომ არ არსებობდეს მაშინ დაცვის მხარის ინსტიტუტი აზრს დაკარგავდა.

უნდა შევხვით ისეთ ქმედებას, რასაც ჰქვია ე.წ. „დეზინფორმაცია“, მართალია ამაზე ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არაფერია ნათქვამი, თუმცა ეს ხერხი, რომელსაც გამომძიებლები საკმაოდ ხშირად მიმართავენ, ტყუილის მეშვეობით იადვილებენ ინფორმაციის მოპოვებას.

დანაშაულის ფაქტთან დაკავშირებით, როდესაც დაიწყება გამოძიება, ხდება ბრალდებულის გამოვლენა, იგი შეიძლება იყოს პოტენციური ბრალდებული ან თანამონაწილე. იმისთვის, რომ პირს მიენიჭოს ბრალდებულის სტატუსი, საჭიროა კანონით დადგენილი წესით მისი ბრალდებულად ცნობა, ხოლო სსსკ-ით ბრალდებული ეს არის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემული პირი, რომლის მიმართ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული.³⁹

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის საქმეში ერთვება ადვოკატი. მისი როლი უმნიშვნელოვანესია, როგორც ბრალდებულის უფლებების დასაცავად, ასევე სამართლიანი სასამართლოს განსახორციელებლად. ზემოხსენებულ თავში უკვე აღვნიშნე, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით დამკვიდრდა მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი. სწორედ ამ პრინციპის მიხედვით მტკიცებულებათა მოპოვება არის მხარეთა პრეროგატივა და ამ პროცესში არ ერევა სასამართლო.

არსებობს შეჯიბრებითობის კლასიკური სისტემა, რომელიც მოწყობილია შემდეგნაირად: სახელმწიფო გამოძიება და დაცვის მიერ გამოკვლევა მტკიცებულებების მოგროვება და შემდეგ მათი გაცვლა, წარდგენა სასამართლოში.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის თანახმად ბრალდებული ეს არის სისხლის სამართლის პროცესის ცენტრალური ფიგურა და პროცესის აქტიური მონაწილე. ბრალდებულს აქვს უფლება ადვოკატის მეშვეობით ჩაატაროს გამოძიება, კანონიერად მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულება, მოითხოვოს საგამომძიებო მოქმედებების ჩატარება,

³⁹საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მუხ. 3 (19).

ასევე მოითხოვოს ადვოკატის მონაწილეობა აღნიშნულ საგამოძიებო მოქმედებაში.

ადვოკატის ინიციატივით საქმეზე შეიძლება დაინიშნოს დამატებითი ექსპერტიზა, რა თქმა უნდა, მეორე მხარესთან შეთანხმებით. ვინაიდან ბრალდებული შესაძლოა არ იყოს გათვინობიერებული და გამოცდილი იურიდიული კუთხით, მას აქვს უფლება მოითხოვოს ადვოკატის დასწრება ყველა საგამოძიებო მოქმედებაში, რომელიც იქნება ჩატარებული, ასევე გამოძიების ეტაპზე იგი იქნება გამოკითხული, რა თქმა უნდა ადვოკატის თანდასწრებით. ასევე ადვოკატს აქვს უფლება გამოითხოვოს მტკიცებულებები სახელმწიფო დაწესებულებებიდან, რომელიც საჭიროა ბრალდებულის უარსაყოფად პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად.

შესაბამისად, დაცვის სტრატეგიიდან გამომდინარე დაცვის მხარე აწარმოებს პარალელურ გამოძიებას და სასამართლოში წარადგენს მტკიცებულებებს. ასევე უნდა აღინიშნოს და ითქვას, რომ დაცვის მხარე საკუთარი ხარჯებით მოიპოვებს მტკიცებულებებს. მაგალითად, თუ მტკიცებულების გამოსავლენად საჭიროა ექსპერტიზა, მისი ჩატარების ხარჯებს თავად მხარე გაიღებს. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, თუ ბრალდებული არის გადახდისუუნარო და მისი დაცვა ხორციელდება სახელმწიფოს ხარჯზე.

არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ადვოკატს არ ეძლევა შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედებაში. მაგალითად, თუ ადვოკატი სთხოვს გამომძიებელს ესა თუ ის საგამოძიებო მოქმედება გადაიტანოს სხვა დროს, ხშირ შემთხვევაში გამომძიებელი აკმაყოფილებს მის მოთხოვნას, თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც ზოგჯერ ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედება ატარებს გადაუდებელ ხასიათს და მისი დაყოვნება უკიდურესად უარყოფით გავლენას მოახდენს მტკიცებულებათა მოპოვების საქმეში, ამასთანავე, გამომძიებელს, როგორც წესი წარმოებაში აქვს ათეულობით სხვა სისხლის სამართლის საქმე.⁴⁰

⁴⁰მ. მდინარაძე, დაცვის უფლების უზრუნველყოფის გარანტიები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2014, გვ. 83-84.

4.2 ადვოკატი საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას

სსსკ-ის 111-ე მუხლის მიხედვით, საგამოძიებო მოქმედებების სახეებია: გამოკითხვა, გამოძიების დროს მოწმის დაკითხვა, ჩხრეკა, ამოღება, დათვალიერება, საბანკო ანგარიშის მონიტორინგი, საგამოძიებო ექსპერიმენტი, პირის ამოსაცნობად წარდგენა, ექსპუმაცია, კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები და ფარული საგამოძიებო მოქმედებები. ამ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისთვის ბრალდების მხარემ აუცილებლად უნდა მიმართოს სასამართლოს ნებართვის აღებისთვის, ხოლო დაცვის მხარეს არ აქვს უფლება, სასამართლოს მიმართოს კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შუამდგომლობით.

ადვოკატს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შუამდგომლობით, თუმცა, შემდეგ ამ საგამოძიებო მოქმედებას ატარებს გამომძიებელი, რომელიც არ შეიძლება იგივე პირი იყოს, რომელიც აწარმოებს გამოძიებას მოცემულ საქმეზე.⁴¹

მოსამართლე აფასებს, შეესაბამება თუ არა დაცვის მხარის შუამდგომლობა სსსკ-ის 93-ე მუხლს, რომელიც შეეხება ზოგადად შუამდგომლობის დაყენების წესს. მოსამართლეები ყურადღებას აქცევენ ამ მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნას: „შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს, მასში კონკრეტულად უნდა იყოს გადმოცემული ჯერ მოთხოვნა და შემდეგ მოთხოვნის არგუმენტაცია და იგი უნდა ეხებოდეს მხოლოდ იმ გარემოებებს, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს შუამდგომლობაში დასმულ საკითხებთან.“ ასევე სასამართლოები მიუთითებენ სსსკ-ის 94-ე მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნას - „შუამდგომლობის დაყენებისას სასამართლოს უნდა წარედგინოს სისხლის სამართლის საქმის იმ მასალების ასლები, რომლებიც აუცილებელია მისი განხილვისთვის.“⁴²

⁴¹სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მუხ. 112;

⁴² იქვე, მუხ. 94.

აქედან გამომდინარე, თუ შუამდგომლობა არ აკმაყოფილებს აღნიშნულ სტანდარტებს, მაშინ მის დაკმაყოფილებაზე დაცვის მხარე მიიღებს უარს.

აღსანიშნავია, რომ დაცვის მხარე ხშირად მიმართავს სასამართლოს დათვალიერების ან ჩხრეკის/ამოღების შუამდგომლობით. ასეთ შუამდგომლობაზე სასამართლო განჩინებათა შესწავლა აჩვენებს, რომ სასამართლოში შედარებით ერთგვაროვანი მიდგომაა ისეთი მტკიცებულებების დათვალიერების ან ჩხრეკის/ამოღების მიმართ, რაც ფიზიკურად არ ინახება კომპიუტერულ სისტემაში, არამედ არსებობს სხვა მაგ. დოკუმენტის სახით.⁴³ ასეთ დროს, სასამართლოები, შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემთხვევაში, აკმაყოფილებენ მათ.⁴⁴

მინდა მაგალითად მოვიყვანო სასამართლო პრაქტიკის კვლევა. „ადვოკატების გამოკითხვის საფუძველზე, როდესაც ჩატარდა კვლევა, კვლევის პროცესში შემუშვებული იქნა სპეციალური კითხვარი ადვოკატებისთვის. კითხვარი ეხებოდა შემდეგ თემებს: მიუმართავთ თუ არა მათ სასამართლოსთვის შუამდგომლობით საგამომიებო მოქმედებების ჩასატარებლად ნებართვის გაცემისთვის. ეს შუამდგომლობა ეხებოდა შემდეგ საკითხებს: პირის ტექნიკური საშუალებებით დისტანციურ დაკითხვას, ჩხრეკა/ამორებას, დათვალიერებას, გვამის ექსპუმაციას, იმ დოკუმენტაციის ან ინფორმაციის მოთხოვნას, რომელიც ინახება კომპიუტერში, რამდენად დაკმაყოფილდა მათ მიერ წარდგენილი შუამდგომლობები ან თუ უარი მიიღეს, დაძლიეს თუ არა სასამართლოს უარი რაიმე სხვა კანონიერი ხერხით.

როგორც კვლევამ აჩვენა, სულ გამოიკითხა 136 სისხლის სამართლის ადვოკატი, გამოკითხვა ჩატარდა ზოგი კითხვარის მეშვეობით, ზოგიც კი სატელეფონო გასაუბრებით. კითხვარის მეშვეობით გამოიკითხა 41 ადვოკატი. აქედან 18 ადვოკატი გაწევრიანებულია იურიდიული ფირმების ასოციაციაში, 5 ადვოკატი წარმოადგენდა იურიდიული დახმარების სამსახურს. სატელეფონო გზით გამოიკითხა 95 ადვოკატი, მათგან 9 იყო წარმოდგენილი იურიდიული

⁴³თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 29 ივლისის განჩინება; 2015 წლის 7 ოქტომბრის განჩინება; 2014 წლის 24 ივნისის განჩინება;

⁴⁴ დაცვის მხარის შუამდგომლობათა დასაბუთების კრიტერიუმები, რასაც სასამართლოები აფასებენ.

ფირმების ასოციაციიდან, 13 ადვოკატი იურიდიული დახმარების სამსახურიდან. აქედან 33 ადვოკატს მიუმართავს სასამართლოსთვის, ხოლო 62-ს არა“.⁴⁵

კვლევამ აჩვენა შემდეგი: პირის ტექნიკური საშუალებით დისტანციური დაკითხვა - სასამართლოს მიმართა 15 ადვოკატმა. ამათგან მხოლოდ ერთს არ დაუკმაყოფილა სასამართლოს შუამდგომლობა. მიზეზი კი იყო შემდეგი: ბრალდების მხარეს აღნიშნული მოწმე ამოღებული ჰყავდა მტკიცებულებების სიიდან, ხოლო დაცვის მხარეს არ ჰყავდა ეს პირი შეყვანილი თავისი მტკიცებულებების სიაში. შესაბამისად, აქედან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ამ სახის საგამომიებო მოქმედებისათვის დახმარების შუამდგომლობით სასამართლოებს ადვოკატები მიმართავენ და სასამართლოებიც აკმაყოფილებენ შუამდგომლობებს.

ჩხრეკა/ამოღება - ამ ტიპის შუამდგომლობით მიმართა 21 ადვოკატმა, აქედან დაკმაყოფილდა მხოლოდ 7 შუამდგომლობა. ძირითადად მოთხოვნილი იყო კერძო ორგანიზაციებიდან სათვალთვალ კამერების ჩანაწერები და შემავალი და გამავალი სატელეფონო ზარები. შუამდგომლობაზე უარის თქმის საფუძველი გახლდათ ძირითადად სსსკ-ის 136-ე მუხლი, რომლის შესაბამისად მხოლოდ ბრალდების მხარეა უფლებამოსილი მიმართოს სასამართლოს კომპიუტერულ სისტემაში არსებული მონაცემების გამოთხოვის შუამდგომლობით.

ასევე იყო შემთხვევები, როდესაც ადვოკატის შუამდგომლობაში არ იყო მითითებული კონკრეტული ადგილი საიდანაც ადვოკატი ითხოვდა ამა თუ იმ საგამომიებო მოქმედების ჩატარების უფლებას. აქვე მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ადვოკატებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია შემდეგმა ფაქტმა,

⁴⁵ „დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა მოპოვება სასამართლოს მეშვეობით“ 2014-2015 წ. მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაცია. ხელმისაწვდომია <https://osgf.ge/files/2016/Publications/%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%A2%E1%83%99%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%97%2016.pdf>

რომ მხოლოდ ბრალდების მხარეს აქვს მტკიცებულებების პირველადი გამოკვლევის უფლება. ისინი აღნიშნავენ, რომ ეს გარემოება მათთვის რისკის შემცველია, რადგან დაცვის შუამდგომლობით ჩატარებული ჩხრეკა/ამოღება შეიძლება არ იყოს ბრალდების მხარისთვის სასარგებლო და შესაბამისად გამოიყენოს ბრალდების მხარემ.⁴⁶

ასევე ადვოკატების ნაწილი იმ ფაქტზეც გამოთქვამს უკმაყოფილებას, როდესაც მის შუამდგომლობაზე პასუხობს მოსამართლის თანაშემწე.

ძალზედ ყურადსაღებია და საინტერესოა ადვოკატების მიერ დასახელებული პრობლემები და მტკიცებულებათა მოპოვების პროცესის შეფასება. არსებობს ადვოკატთა მტკიცებულებების მოპოვების პროცესის მარეგულირებელი ბაზა, რომელზეც ძალიან ბევრი ადვოკატი გამოთქვამს უკმაყოფილებას და თვლიან, რომ აღნიშნული ბაზა აუცილებლად შესაცვლელია. კერძოდ, ადვოკატს უნდა მიეცეს მეტი უფლებები და შესაძლებლობა საპროცესო მოქმედებების შესასრულებლად. ზოგიერთ შემთხვევაში ასევე შესაცვლელია მტკიცებულებათა მოპოვების მექანიზმები.

განსაკუთრებით ეს ეხება სასამართლოს ნებართვით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების პირველადი გამოკვლევის უფლებას, რომლებიც როგორც უკვე ზემოთ აღნიშნეთ, აქვს ბრალდების მხარეს.

ასევე პრობლემას წარმოადგენს დაკმაყოფილებული შუამდგომლობის აღსრულება, მაგალითად ვიდუოკამერის დათვალიერების შესახებ დაკმაყოფილებული შუამდგომლობა ზოგჯერ ვერ იქნება აღსრულებული, რადგან ადვოკატები სახელმწიფო ორგანოებიდან იღებენ შემდეგ პასუხს, რომ აღნიშნული მასალა არ არსებობს ან განადგურებულია.

⁴⁶ „დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა მოპოვება სასამართლოს მეშვეობით“ 2014-2015 წ. მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაცია. ხელმისაწვდომია <https://osgf.ge/files/2016/Publications/%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%A2%E1%83%99%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%97%2016.pdf>

რამოდენიმე ადვოკატმა გამოთქვა აზრი, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რომელი მოსამართლე განიხილავს ამა თუ იმ შუამდგომლობას. აქ უკვე საქმე გვაქვს დამოუკიდებელ სასამართლოსთან, რომელიც, ჩემი აზრით, დღევანდელ რეალობაში ძალიან დიდი პრობლემაა.

ადვოკატების ნაწილი ასევე მიიჩნევს, რომ სასურველია ჩატარდეს რაიმე ტიპის შეხვედრა, სადაც ერთად ისხდებიან მოსამართლეები, ადვოკატები და პროკურორობები, მოხდეს ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობა და მოხდეს სწორი და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.⁴⁷

4.3 დამცველის შეხვედრა თავის დაცვის ქვეშ მყოფთან

პროფესია „ადვოკატი“ - ეს ნიშნავს კლიენტებთან კარგი ურთიერთობის დამყარებას. ეს მისი პირდაპირი მოვალეობაა. აღნიშნული კი მოითხოვს დიდ მომინებას და პროფესიონალიზმს.⁴⁸

ახალმა სისხლის სამართლის პროცესმა, რომელიც აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, გააუმჯობესა და სრულყოფილი გახადა ადვოკატის პროცესუალური მდგომარეობა. ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა, სრულად აღმოფხვრა ძველი სისხლის სამართლის პროცესში არსებული ხარვეზი. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება, რომელიც 2009 წლის 29 იანვარს გამოსცა. იგი ეხებოდა წინა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 3-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი. ამ დებულების მიხედვით ადვოკატს ეკრძა ეკრძა ეკრძა თავის დაცვის ქვეშ მყოფთან შეხვედრა ერთ საათზე მეტი დროით.⁴⁹

ახალი სისხლის სამართლის პროცესით გააუმჯობესდა ადვოკატის საქმიანობა. პირველ რიგში, ეს გამოიხატება იმაში, რომ გამოძიება იწყება

⁴⁷ „დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა მოპოვება სასამართლოს მეშვეობით“ 2014-2015 წწ. მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაცია;

⁴⁸ავტორთა ჯგუფი „სახელმძღვანელო ადვოკატებისათვის სასამართლო უნარ-ჩვევებში“, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2012, გვ. 94;

⁴⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის გადაწყვეტილება N2/3/182,185,191, თბილისი, მიღების თარიღი 29.01.2003, უკანასკნელად გადამოწმებულია 02.05.2017

შეჯიბრებითობის პრინციპზე დაყრდნობით, რაც იმას ნიშნავს, რომ დაცვის მხარეს აქვს თანაბარი უფლება ჩაატაროს სხვადასხვა საგამომიებო მოქმედებები და ადვოკატმა თავად მიიღოს მონაწილეობა ამ მოქმედებებში.

ადვოკატს აქვს ვალდებულება, რომ გამოიყენოს ყველა კანონიერი საშუალება, რათა გამოავლინოს ის გარემოებები, რომლებიც გამოადგება ბრალდებულის გასასამართლებლად ან ბრალის შესამსუბუქებლად. ადვოკატს უფლება აქვს, რომ უარი თქვას მასზე ან შეიტანოს საჩივარი ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ, მაგრამ არსებობს გამონაკლისი, როდესაც ბრალდებული არასრულწლოვანია ან აქვს ფსიქიკური პრობლემები, ყველა სხვა შემთხვევაში ადვოკატი თავის დაცვის ქვეშ მყოფთან ერთად მსჯელობს იმ გარემოებებზე, რაც მას დაეხმარება მიზნის მიღწევაში.

პრაქტიკა იცნობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ბრალდებულის და ადვოკატის პოზიცია ერთმანეთს ეწინააღმდეგება. შესაძლოა ეს განპირობებული იყოს იმით, რომ ადვოკატები სათანადო ენით ვერ ესაუბრებიან თავისი დაცვის ქვეშ მყოფს, ვერ აცნობენ საქმის მასალებს, არ უნმარტავენ უფლება-მოვალეობებს, არადა ადვოკატის საქმიანობის მთავარი პრინციპიც სწორედ ეს არის, რომ მან კლიენტს სრულყოფილად უნდა გააცნოს მისი უფლებები, არ უნდა იმოქმედოს ბრალდებულის ინტერესების წინააღმდეგ. ყოველივე ეს უარყოფითად აისახება რა თქმა უნდა დაცვის განხორციელებაზე და აღნიშნული ცალსახად არღვევს საპროცესო კანონმდებლობას.

ადვოკატი და ბრალდებულის ურთიერთობაში მთავარია, ის რომ ადვოკატმა თავის დაცვის ქვეშ მყოფთან ერთად უნდა გადაწყვიტოს ჩვენების მიცემის საკითხი, ბრალის აღიარება, წარადგინოს თუ არა მტკიცებულებები და თუ კი მაშინ რომელი და რა სახით, გაასაჩივროს თუ არა განჩინება. ასევე ადვოკატმა უნდა გააკონტროლოს, ხომ არ ირღვევა მისი დაცვის ქვეშ მყოფის უფლებები დაკავების პროცესში.

4.4 ადვოკატის კონსტიტუციური გარანტიები სასამართლოში

სასამართლო, ეს არის ერთადერთი ადგილი, რომელსაც გააჩნია „მონოპოლია“, მიიღოს გადაწყვეტილება განაჩენისა თუ ვერდიქტისა, ასევე თავისუფლების აღკვეთის ან პირადი თავისუფლების შეზღუდვით.

ადამიანის ძირითადი უფლებები საქართველოს კონსტიტუციით არის აღიარებული. ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო პრინციპები წარმოადგენს საქართველოს პოლიტიკური სივრცის განუყოფელ ნაწილს.

საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვა ხორციელდება საერთაშორისო პრინციპების, სტანდარტების და ნორმების საფუძველზე. კონსტიტუციით გარანტირებულია პრინციპი, რომელსაც „უდანაშაულობის პრეზუმცია“ ჰქვია.

„უდანაშაულოდ ითვლება ადამიანი, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების ტვირთი ეკისრება მბრალმდებელს.“⁵⁰

ჭეშმარიტების როლი საადვოკატო გამმიებაში. ჭეშმარიტების დადგენა დღემდე ერთ დიდ პრობლემას წარმოადგენს იურისტებს შორის. ამ საკითხისადმი სამეცნიერო კვლევა დღემდე მიმდინარეობს. ადვოკატი თავის საქმიანობის განხორციელებისას იცავს ადამიანის უფლებებს, იგი ამყარებს კავშირს საგამომიებო ორგანოებთან, სასამართლოსთან, ატარებს საგამომიებო მოქმედებებს, ამიტომ მნიშვნელოვანია „ჭეშმარიტების“ საკითხის განხილვა. უნდა ითქვას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში სიტყვა ჭეშმარიტება არ გვხვდება.

ეს ფაქტი იურისტებს შორის უკმაყოფილებას იწვევს, მაგრამ ამ უკმაყოფილებას აქარწყლებს გაზეთ „Известия“-ში გამოქვეყნებული ფრაზა, რომ „ეს იურიდიული ფორმალიზმის, სქოლასტიკისა და ასოკირკიტობის ტიპური მაგალითია, ყველასთვის ნათელი უნდა იყოს, რომ სისხლის სამართლის

⁵⁰საქართველოს კონსტიტუცია, 1995.

საპროცესო კოდექსი შეიცავს სამართის პროცესში ჭეშმარიტების დეტალებს, თუმცა თვით სიტყვა ჭეშმარიტება არც იყოს მოხსენიებული.“⁵¹

საინტერესოა ასევე სიტყვა ჭეშმარიტების სწორი დეფინიცია, სხვადასხვა ავტორების განმარტებით. მაგალითად, ე. კარიაკინის აზრით, იმას, თუ რას დავარქმევთ პროცესში ჭეშმარიტებას, ეს იქნება ფორმალური, მატერიალი თუ ობიექტური, აქვს დიდი მნიშვნელობა.⁵²

პროფ. ბ. ხარაზიშვილი თავის ნაშრომში „მტკიცებითი სამართალი“ განმარტავს: რომ „სასამართლო განხილვის დროს ჭეშმარიტების დადგენასთან დაკავშირებით ლიტერატურაში ცნობილია შეხედულებათა სხვადასხვა განშტოება.“⁵³

ცხადია, ავტორები ვერ თანხმდებიან ერთიან განმარტებაზე სიტყვა „ჭეშმარიტებისა“, მაგრამ მათი დიდი ნაწილი თვლის, რომ სისხლის სამართლის პროცესის მთავარი აზრი არის ჭეშმარიტების დადგენა. მაგ.: ე. მიზულინას განმარტებით, „მოსამართლე განიხილავს რა კონკრეტულ საქმეს, გამოაქვს შესაბამისი დასკვნები, მაგრამ ამ დასკვნამდე იგი მიდის მხოლოდ ლოგიკური გზით. იგი შეაჯერებს მსჯელობებს მტკიცებულებებს და ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებებს.“⁵⁴

თუმცა, ამის საწინააღმდეგოს ამბობს მ. დავლეტოვი. იგი აცხადებს, რომ „ჭეშმარიტება, რომელიც მიიღწევა ლოგიკური გზით, ყოველთვის რჩება კრიტიკის საგნად, თუნდაც იგი საკმაოდ დასაბუთებული და ლოგიკურად ზუსტად იყოს, არის ჰიპოტეზის საკითხი.“⁵⁵

ნ. კუდრიაცევი განმარტავს, რომ „სისხლის სამართლის პროცესში ობიექტური ჭეშმარიტება მოიცავს ქმედების იურიდიულ კვალიფიკაციას და იგი ობიექტური ჭეშმარიტების ცნებაში აერთიანებს სასჯელის სწორად განსაზღვრის საკითხს“.

⁵¹გაზეთი „Известия“, 1962, 25/V, №122 (13976);

⁵² Карякин. Е., Взгляд на состязательное уголовное судопроизводство сквозь призму процессуальной формы // Уголов. право. N4, 2005, Стр. 68;

⁵³ბ. ხარაზიშვილი, მტკიცებითი სამართალი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1982, გვ. 35;

⁵⁴ Мизулина, Е. Б., Уголовный процесс: Концепция самоограничения государства, 1991;

⁵⁵ Божьев В.П., Состязательность на предварительном следствии. // Законность. 2004, №1.

მ. ოსმაკოვის აზრით: „სისხლის სამართალწარმოებაში არსებობის უფლება აქვთ კონვენციონალურ და საპროცესო ჭეშმარიტების კონცეფციებს“. ⁵⁶

ჩემი აზრით კონვენციალური და საპროცესოს ჭეშმარიტება ორივე არის ჭეშმარიტების პირობითი ფორმა.

4.5 წინასასამართლო სხდომა. დაცვის მხარის უფლების უზრუნველყოფის გარანტიები

სასამართლო პროცესის დროს ყველა ინსტანციის ეტაპი მნიშვნელოვანია, თუმცა მინდა გამოვყო პირველი ინსტანციის სასამართლოში წინასასამართლო სხდომა და საქმის არსებითი განხილვა.

შეჯიბრებითობის პრინციპის ფარგლებში ორივე მხარე, დაცვაც და პროკურორიც წარმოადგენენ მტკიცებულებებს, რათა საკუთარი პოზიციები გაამყარონ. ამ მტკიცებულებების წარმოდგანესაც გააჩნია გარკვეული თანმიმდევრობა, წესები, რომლითაც ხელმძღვანელობს ორივე მხარე. სწორედ ეს პრინციპი გამოიყენება შეჯიბრებითობის სისტემაში, რათა ორივე მხარეს მიეცეს თანაბრი შესაძლებლობები თავიანთი სიმართის მტკიცების.

ახალი სისხლის სამართლის კანონმდებლობით, ახლა უკვე მტკიცებულებათა გამოკვლევა მთლიანად მხარეებზეა დამოკიდებული. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თითოეული მხარის მიერ სწორად გადადგმულ ნაბიჯს.

წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლე უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ პროკურორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარისია ალბათობის მაღალი ხარისხით, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული (სსსკ-ის 19-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

პრაქტიკაში ხშირად ვნახავთ, იმას რომ არ ხდება წინასასამართლო სხდომაზე ადვოკატის მიერ შუამდგომლობის დაყენება, მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის ამა თუ იმ აღკვეთი ღონისძიების გაუქმების ან ნაკლებად მძიმე შეფარდების თაობაზე. ჩემი აზრით, სასამართლოს უნდა ჰქონდეს იმის უფლება,

⁵⁶ Осьмаков М. А., Адвокатское расследование в современном уголовном процессе, Владимир, 2007, с. 146.

რომ დაცვის მხარის შუამდგომლობის არ დაყენების მიუხედავად თვითონ განიხილოს აღკვეთი ღონისძიების საკითხი.

საქმის არსებითი განხილვა შედგება რამოდენიმე ეტპისგან. ესენია შესავალი სიტყვა, მოწმის პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვა და დასკვნითი სიტყვა. თითოეული ეტაპი ძალიან მინიშვნელოვანია დაცვის მხარისთვის. პირველ რიგში ის, რომ შესავალი სიტყვის დროს იგი ყველანაირად უნდა ეცადოს შეუქმნას პირველადი წარმოდგენა საქმის ირგვლივ ნაფიც მსაჯულებს ან მოსამართლეს, სწორედ ეს წარმოდგენა გაჰყვებათ მათ პროცესის ბოლომდე და იმოქმედებს მისთვის სასურველი ვერდიქტის გამოტანაზე.

რაც შეეხება მოწმეების დაკითხვას, პირდაპირი დაკითხვის დროს ხდება იმ მოწმის დაკითხვა, რომელიც მხარემ გამოიძახა, ხოლო ჯვარედინი დაკითხვის დროს კი მოწინააღმდეგე მხარის მიერ გამოიძახებული მოწმის დაკითხვა. ბოლოს დასკვნითი სიტყვა, ეს მოიცავს იმ პროცესების შეჯამებას, რაც სასამართლო პროცესის დროს მოხდა. ადვოკატი უნდა ეცადოს რომ გააქარწყლოს ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და თავის სიმართლეში დაარწმუნოს სასამართლო.

თემის ბოლოს მინდა შევეხო ისეთ საკითხს, როგორცაა ისეთი საქმის განხილვა, როგორიც არის გახმაურებული და საზოგადოებაში დიდი ინტერესით სარგებლოს. ამ დროს ხდება ჟურნალისტების მხრიდან გადაჭარბებულად ჩარევა და გაშუქება ისეთი რამის რამაც შესაძლოა იმოქმედოს სავარაუდო ბრალდებულის რეპუტაციაზე. იმის მიუხედავად, თუ რა განაჩენს გამოიტანს მოსამართლე უკვე წინასწარ არსებობს გარკვეული უარყოფითი დამოკიდებულება პირის მიმართ, რომელიც ბრალდებულის სკამზე ზის.

რაც შეეხება ერთ ძალიან მნიშვნელოვან პრინციპს, რომელსაც გაუთქმელობის პრინციპი ჰქვია. ამ პრინციპს ხშირად მიმართავენ პროკურორები, განსაკუთრებით გახმაურებულ საქმეებზე და ადვოკატებს ეუბნებიან, რომ მათ ხელი მოაწერონ გაუთქმელობის ხელწერილს, რაც პრაქტიკულად დაცვის მხარეს არ აძლევს შესაძლებლობას თავის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებზე ისაუბროს საჯაროდ.

ამ შემთხვევაშიც ირღვევა შეჯიბრებითობის პრინციპი, რადგან აღნიშნული გაუთქმელობის ხელწერილი არ მოქმედებს ბრალდების მხარეზე, მას თამამად შეუძლია თავისი პოზიციის დაფიქსირება ღიად, ყველანაირი შეზღუდვების გარეშე. ამ შემთხვევაში გამოდის, რომ საზოგადოებისთვის არსებობს მხოლოდ ერთი სიმართლე, რასაც ბრალდება ამბობს. ეს აუცილებლად ჩაითვლება არაკონსტიტუციურად. აღნიშნულ პრობლემას უკვე განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლო და იმედია შესაბამისი და ადეკვატურ გადაწყვეტილებას მიიღებს.

4.6 კვლევა

იმ პრობლემებზე, რაზეც ზემოთ მოცემულ ნაშრომში უკვე ვიასუბრე, სწორედ ამ პრობლემების მკაფიოდ დასაანახად, მე გამოვკითხე პრაქტიკოსი ადვოკატები, რომლებმაც თითქმის მსგავს პრობლემებზე მესაუბრეს. პირველი პრობლემა, რაზეც ადვოკატებმა მიმითითეს, იყო ბრალდებულის დაკავება და მისი პირველი შეხვედრა მისი დაცვის ქვეშ მყოფთან. როგორც ვიცით, როდესაც ხდება პირის დაკავება, ადვოკატის ჩართვა დაკავების მომენტიდან უნდა მოხდეს.

თუმცა, სამწუხაროდ რეალობაში ეს ესე არ ხდება. ადვოკატს ხელოვნურად ექმნება პრობლემა თავის დაცვის ქვეშ მყოფთან შესახვედრად, პრობლემები კი შემდგენაირია, იგი იღებს გამომძიებლისგან არასწორ ინფორმაციას ბრალდებულის ადგილსამყოფელის შესახებ, ეს ყველაფერი კი ბრალდების მხრიდან ხდება სწორედ იმიტომ, რომ მათ რაც შეიძლება მეტი დრო ჰქონდეთ დაკავებულისგან მათთვის სასურველი ინფორმაციის მისაღებად.

ასევე, ეს უკანასკნელი ემსახურება შემდეგს - ვიცით, რომ ბრალდებულს აქვს დუმილის უფლება და ყველა ნორმალური ადვოკატი მისი დაცვის ქვეშ მყოფს ურჩევს გამოიყენოს დუმილის უფლება, მანამ სანამ არ გაიცნობს ბოლომდე საქმის მასალებს.

მეორე პრობლემა, რაზეც ვიასუბრეთ, ეს არის საგამომძიებო მოქმედებების ჩატარება. როგორც ნაშრომში აღვნიშნეთ, საგამომძიებო მოქმედებების ჩატარების

დროს ადვოკატი არის უფრო შეზღუდული და ნაკლებად ფუნქციური, ვიდრე ბრალდების მხარე, რაც ცალსახად არღვევს შეჯიბრებითობის პრინციპს.

ერთ ერთმა ადვოკატმა აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით მომიყვანა მისი პირადი გამოცდილებიდან მაგალითები და ცალსახად დამანახა, რომ აღნიშნული პრობლემა მართლაც, რომ ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს დაცვის მხარისთვის.

მაგ.: დაცვის მხარეს აქვს უფლება ჩაატაროს ჩხრეკა, მაგრამ სანამ ადვოკატი უფლებას მიიღებს მოსამართლისგან ჩხრეკის ჩატარების შესახებ უკვე საგამომიებო მოქმედების ჩატარება აზრს კარგავს, რადგან შესაძლოა სწორედ ადვოკატისთვის სასარგებლო ინფორმაცია და ნივთმტკიცება ფიზიკურად აღარ არსებობდეს. ბრალდების მხარისგან განსხვავებით, მას არ აქვს უფლება საგამომიებო მოქმედების გადაუდებელი აუციელებლობით ჩატარებით.

ჩემთან საუბარში ერთ-ერთი ადვოკატი შეეხო ასევე მოწმის გამოკითხვის პრობლემას. იდეაში ამ შემთვევაში დაცვის მხარეც და ბრალდების მხარეც თანაბარ მდგომარეობაში არიან, მაგრამ ისევ და ისევ ვაწყდებით იმ პრობლემას, რომ ბრალდების მხარის რესურსი უფრო დიდი აქვს მოწმეების მოსაყვანად და გამოკითხვისთვის, ვიდრე დაცვის მხარეს, გამომძიებელი უმეტესად იყენებს საპოლიციო რესურს მოწმეების მოსაძებნად, იგი წინასწარ ამზადებს მათ, ხოლო დაცვის მხარე დამოკიდებულია მხოლოდ სასამართლოს იძულებით წესით მოყვანაზე. აქაც არსებითად ირღვევა შეჯიბრებითობის პრინციპი.

რაც შეეხება საქმის მასალების გაცვლას და გაცნობას. კოდექსში გვაქვს შემდეგი ჩანაწერი, როცა ადვოკატი წინასასამართლო სხდომამდე წერს განცხადებას და მას აქვს ამის ერთჯერადად დაწერის უფლება, რომ სჭირდება დაუყოვნებლივ საქმის მასალები, ბრალდების მხარე ვალდებულია მალევე, დაუყოვნებლივ, პირველვე შესაძლებლობისთანავე გადასცეს მეორე მხარეს მასალები.

მაგრამ რა ვადა იგულისხმება ამ სიტყვებში - „დაუყოვნებლივ“, მალევე“, ეს კანონით არ არის განსაზღვრული და აქაც ადვოკატი დამოკიდებულია გამომძიებელზე. შეიძლება მას მასალები არ გადაეცეს რამოდენიმე დღე, ამ დროს

კი მხარეს ეზღუდება შესაძლებლობა ამ მასალების საფუძველზე იზრუნოს დამატებითი მტკიცებულებების მოპოვებაზე.

რაც შეეხება 6 დღით ადრე საქმის მასალების გადაცემას, ეს რათ თქმა უნდა კანონით არის გაწერილი, მაგრამ ხშირ შემთხვევებში გამომძიებლები „ბოროტად“ იყენებენ ამ ვადას და მხოლოდ ბოლო დღეს უცვლიან მტკიცებულებებს, რომ რაც შეიძლება ნაკლები დრო ჰქონდეს მეორე მხარეს მასალების გასაცნობად.

ასევე ადვოკატი მესაუბრა იმ ახალ რეგულაციაზე, რომელიც დაახლოებით ორი წელია მიღებულია პროკურატურაში, თუმცა აღნიშნული საკითხი არ არის დარეგულირებული კანონით.

იგი მხოლოდ ბრძანებით რეგულირდება. რეგულაცია შემდეგში მდგომარეობს: თუ პირი იმყოფება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პროკურატურას უფლება აქვს შეუზღუდოს აბსოლიტურად ყველანაირი საკომუნიკაციო საშუალებები, როგორცაა ოჯახის წევრებთან დარეკვა, პაემნები და სხვა.

ბრალდებულის სრული იზოლირება ხანდახან ქმნის პრობლემას რომ მან თავისი საშუალებებით მოიპოვოს გარკვეული მტკიცებულებები, რადგან ვიცით, რომ ბრალდებულის დაცვის მხარეა, თუმცა ამ რეგულაციიდან გამომდინარე ეს ფაქტობრივად შეუძლებელია. აღნიშნული ადვოკატების აზრით, არის უკანონო, საქმე გვაქვს კომუნიკაციის პრობლემასთან.

საუბრისას ასევე შევეხეთ იმ პრობლემას, როგორცაა დაკავებულისთვის მტკიცებულებების გაცვლა. მაგალითად ვიდეო ჩანაწერები და დისკები. სამწუხაროდ მათი შეტანა იზოლატორში არის აკრძალული, შესაბამისად დაკავებულს არ აქვს შესაძლებლობა გაეცნოს მსგავს მტკიცებულებებს.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია საქმის არსებითი განხილვა. აქ ისევ და ისევ ვაწყდებით სასამართლოს მიკერძოებლობას. ამ დროს ცალსახად იზღუდება ადვოკატის უფლება. საუბრისას ადვოკატმა აღნიშნა, რომ მოსამართლეების უმეტესობა არის მიკერძოებული და იზიარებენ ბრალდების მხარის პოზიციას.

ხშირია შემთხვევები ირიბ მტკიცებულებებზე დაყრდნობით განაჩენის გამოტანისა.

საუბარი გვაქვს ასევე კოდექსის ნაკლოვანებაზე. სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილება, რომ მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე მოსამართლეს არ შეუძლია გამოიყენოს პირობითი მსჯავრი, მაგალითად, თუ პიროვნებამ ჩაიდინა ქურდობა, მანქანას მოადრო საბურავი, ეს არის ქურდობის მესამე ნაწილი, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთად 4 დან 7 წლამდე, როდესაც საქმე მიდის სასამართლოში, თუ სასამართლომ აღნიშნული პირი გაამტყუნა, მოსამართლეს არ აქვს უფლება კანონით მისცეს მას პირობითი მსჯავრი და მიუსჯის ყველაზე ნაკლებს 4 წელს.

თუმცა, ალბათ ყველა დავეთანხმებით იმას, რომ მსგავსი სიმკაცრე აღნიშნული ტიპის დანაშაულებზე არ უნდა იყოს. ამ შემთხვევაში დაცვის მხარე დამოკიდებულია ისევ და ისევ პროკურორზე, მის კეთილ ნებაზე, რომ მან გააფორმოს საპროცესო შეთანხმება, აქ კვლავ ირღვევა შეჯიბრებითობის პრინციპი.

რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს, ყველასთვის ცნობილია ის ,რომ სააპელაციო სასამართლო თითქმის არასდროს არ ცვლის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას, მითუმეტეს თუ საქმე ეხება აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას. იგი საქმეს განიხილავს მხოლოდ ფორმალურად და აქედან გამომდინარე ადვოკატისთვის სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებას აზრი არ აქვს.

კიდევ ერთი საკითხი რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ეს არის გაუთქმელობის პრინციპი, როდესაც გამომძიებელი აწერინებს ადვოკატს გაუთქმელობას, ამ დროსაც მხოლოდ ერთი მხარის უფლებები იზღუდება . აღნიშნულს ხშირად შევხვდებით გახმაურებულ საქმეებზე.

მნიშვნელოვანია გავარკვიოთ საჭიროა თუ არა გამოძიებისას ადვოკატი იყენებდეს ჭეშმარიტების დადგენის პრინციპს? ამასთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა მოსაზრებები. ზოგი ამბობს, რომ სწორედ დაცვის

მხარისათვის არ არის ყოველთვის მიზანშეწონილი ჭეშმარიტების დადგენა, მათ ზოგჯერ აწყობთ, რომ დამნაშავე ვერ იქნეს გამოვლენილი.

იურისტებისთვის ხომ მთავარ მიზანს ბრძოლის მოგება წარმოადგენს. ამის შესახებ გვესაუბრება ამერიკელი ავტორი ჯ. ფრენკი, იგი განმარტავს, რომ „იურისტის მიზანს წარმოადგენს ბრძოლის მოგება და არა სასამართლოსთვის სინამდვილის დადგენაში დახმარების აღმოჩენა.“⁵⁷

როგორც ქართველი მეცნიერები განმარტავენ, ადვოკატი ვალდებულია იმოქმედოს თავის დაცვის ქვეშ მყოფის ინტერესებიდან გამომდინარე და აქედან გამომდინარე ისინი არიან მიკერძოებულები და არ ევალებათ ჭეშმარიტების დადგენა. თამარ ლალიაშვილი ფიქრობს, რომ „ბრალდებულის ინტერესების დამცველი ადვოკატი არის მხარე შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის საფუძველზე და შესაბამისად არ არის ნეიტრალური ან სიმართლის დამდგენი ორგანო.“⁵⁸

თამარ ლალიაშვილს ასევე ეთანხმებიან სხვა ქართველი მეცნიერები და მიიჩნევენ, რომ ადვოკატის საქმიანობა პროცესში ეს არის ცალმხრივი და საერთოდ არ ევალება საქმის სრულყოფილი და ობიექტური გამოკვლევა.

ბოლოს, შესაძლოა დასკვნის სახით ვთქვათ, რომ ჭეშმარიტების საკითხი ქართულ კანონმდებლობაში აშკარად პრობლემებს ქმნის. იგი არ არის კანონით რეგულირებადი. სწორედ აუცილებელია, რომ აღნიშნული საკითხი კანონმა დაარეგულიროს.

თუმცა, იმ აზრს, რომ ადვოკატი ყოველთვის არ არის ვალდებული ჭეშმარიტების ძიებისა, ვეთანხმები, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნე, ადვოკატი, ეს არის მიკერძოებული პირი. მან უნდა იმოქმედოს თავის დაცვის ქვეშ მყოფის ინტერესების შესაბამისად და სულაც არ არის ვალდებული ყველა საქმეზე ეძიოს ჭეშმარიტება.

⁵⁷ Frank, J., Courts on Trial: myth and reality in American justice. Princeton, Hart and Wechsler, New York, 1937, P. 216;

⁵⁸თ. ლალიაშვილი, ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულება, დაცვის სტრატეგია და ბრალდებულის პირადი მითითებები. გ. ნაჭყებია - 75. საიუბილეო კრებული, თბ., 2016.

დასკვნა

ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში უდიდესი როლი ითამაშა შეჯიბრებითობის პრინციპის დამკვიდრებამ.

თუმცა, აღნიშნულმა კვლევებმა აჩვენა, რომ მოქმედ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებობს რიგი პრობლემები, რაც რეალურად აისახება პრაქტიკაში. სხვადასხვა მეცნიერების ნაშრომების გაცნობის შემდეგ, ასევე ჩატარებული გამოკითხვის შემდეგ მოცემულ საკითხებისადმი გამოიკვეთა შემდეგი დებულებები: გამძიება - ეს არის ბრალდებულის უფლებებისა და თავისუფლებების, კანონიერი ინტერესების დაცვა.

ადვოკატი მოქმედებს თავისი დაცვის ქვეშ მყოფი პიროვნების ინტერესებიდან გამომდინარე. საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტი არის კანონზე დამყარებული ინსტიტუტი, რომელიც დაცვის მხარეს აძლევს შესაძლებლობას, აწარმოოს გამოძიება.

რაც შეეხება შეჯიბრებითობის პრინციპს, როგორც უკვე ავღნიშნე, ეს არის ფუნდამენტური ცვლილება კანონმდებლობაში. თუმცა, მას როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეებიც გააჩნია, რომელიც დაკავშირებულია შემდეგ საკითხებთან: დაცვის მხარის ფინანსური მდგომარეობას წინააღმდეგობას უწევს ბრალდების მხარის ფინანსური მდგომარეობა და შესაძლებლობები. ეს უკანასკნელი აშკარად მიუთითებს ბრალდების მხარის უპირატესობაზე.

ასევე ნაშრომში განხილული ჭეშმარიტების საკითხი არის აშკარად პრობლემატური და ქართული კანონმდებლობით არის დაურეგულირებელი. საჭიროა აღნიშნული საკითხი კანონის დონეზე დარეგულირდეს.

რაც შეეხება კრიმინალისტიკას და ამ მეთოდის შედეგად შემუშავებულ საკითხებს, ახალი ტექნოლოგიების შექმნა ადვოკატს სრულიად უადვილებს, კარგად და ხარისხიანად განახორციელოს თავისი საქმიანობა. იმისათვის, რომ ადვოკატმა თავის დაცვის ქვეშ მყოფს გაუწიოს სათანადო მომსახურება, იგი უნდა ფლობდეს კრიმინალისტიკურ უნარჩვევებს.

კვლევამ გვიჩვენა, რომ ის თემები, რაც მართალია, კანონით არის დარეგულირებული, პრაქტიკაში სულ სხვანაირად გვხვდება. ხშირ შემთხვევაში ირღვევა ადვოკატის უფლებები და შეჯიბრებითობის პრინციპი. ასევე, აშკარად ვხედავთ ბრალდების მხარის უპურატესობას და მის უზღვავე შესაძლებლობებს. თუმცა, სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში დაცვის მხარის მიერ გასაჩივრებული ესა თუ ის საკითხი ხდება განუხილველი ან რეალურ არაფრის მომტანი.

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს კონსტიტუცია, 1995;
2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, 1950;
3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999;
4. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009;
5. საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“, 2001;
6. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი;
7. ავტორთა ჯგუფი, სახელმძღვანელო ადვოკატებისათვის სასამართლო უნარ-ჩვევებში, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2012;
8. ავტ. კოლექტივი, რედ.: მ. მანიაშვილი, ჯ. გახოკიძე, ი. გაბისონია, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, მეორე გამოცემა, თბ., 2013;
9. გ. ნადირაშვილი, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, გამ.: „ბონა-კაუზა“, თბ., 2008;
10. გ. თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, 2014;
11. დ. ბენიძე „შეჯიბრებითობის პრინციპის ტრანსპორმაცია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში“, 2012;
12. „დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა მოპოვება სასამართლოს მეშვეობით“ 2014-2015 წწ. მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაცია; <http://alfig.ge/wp-content/uploads/2016/07/sifa-new.pdf>
13. ვ. მეტრეველი, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2003;
14. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, თორმეტი ტომი, ტომი 7, თბ., 1984;
15. ი. აქუბარდია, დაცვის ხელოვნება, გამ.: „მერიდიანი“, თბ., 2011;

16. კ. გ. გუცენკო, ლ. ვ. გოლოვკი, ბ. ა. ფილიმინოვი, დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2007;
17. მ. მდინარაძე, დაცვის უფლების უზრუნველყოფის გარანტიები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2014;
18. რ. იერინგი, ბრძოლა უფლებებისათვის, თბ., 2000;
19. თ. ლალიაშვილი, ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულება, დაცვის სტრატეგია და ბრალდებულის პირადი მითითებები, გ. ნაჭყებია - 75. საიუბილეო კრებული, თბ., 2016;
20. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ავტ. კოლექტივი, თბ., 2015;
21. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, ჟურნ. „ადვოკატი“, 2017, N1-2;
22. სამართალი და მსოფლიო, საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი, N2, 2015;
23. შ. ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009;
24. შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა, დანაშაულთა გამოძიებისა და გახნის მეთოდოლოგია, თბ., 2013;
25. Frank, J., (1937) Courts on Trial: myth and reality in American justice. Princeton, Hart and Wechsler, New York, P. 216
26. Осьмаков М.А. (2007) Адвокатское расследование в современном уголовном процессе : владимир
27. Карякин. Е. (2005) Взгляд на состязательное уголовное судопроизводство сквозь призму процессуальной формы // Уголов. право. N4. Стр. 68
28. Мизулина, Е. Б. (1991) Уголовный процесс: Концепция самоограничения государства: дис.
29. Божьев В.П. (2004) Состязательность на предварительном следствии. // Законность. 2004. № 1
30. გაზ. Известия, 1962, 25/V, №122 (13976)

სასამართლო გადაწყვეტილებები

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 29 ივლისის განჩინება;
2. 2015 წლის 7 ოქტომბრის განჩინება, 2014 წლის 24 ივნისის განჩინება;
3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის გადაწყვეტილება N2/3/182,185,191, ქ. თბილისი, 29.01.2003.